# კინოთეატრი აპოლო

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ №135

## ინტერიერის დეკორი

წინასაკონსერვაციო კვლევა და საკონსერვაციო  ჩარევის მეთოდოლოგია



*დამკვეთი:* **შპს „კონფიდენს გრუპი“**

*შემსრულებელი: ლელა ნინოშვილი - ქვის და კედლის მხატვრობის რესტავრატორი*

*მარიამ კალხიტაშვილი  - კედლის მხატვრობის რესტავრატორი*

თბილისი, 2019 წ.

შემადგენლობა

შესავალი

თავი I

კვლევა

1. კინოთეატრი აპოლო - ისტორიული კონტექსტი
2. ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტა და დეკორის შესრულების ტექნიკა
3. ინტერიერის დეკორის ფიზიკური მდგომარეობის აღწერა, დაზიანებების და დამაზიანებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია
4. კედლის სტრატიგრაფიული კვლევის შედეგები
5. გვიანი ჩარევების გრაფიკული დოკუმენტაცია

*დანართი: № 1 კინოთეატრი აპოლოს შენობის საკუთრების რეგისტრაციის დოკუმენტაცია*

თავი II

საკონსერვაციო ჩარევის მეთოდოლოგია

1. ღირებულებების განსაზღვრა და საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება

*დანართი: № 2 საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია*
*დანართი: № 3 საკონსერვაციო - სარესტავრაციო ინტერვენციის მეთოდები და მასალები*
*დანართი: № 4 დროებითი გამაგრებითი ღონისძიებების გრაფიკული სქემა*
*დანართი: № 5 საკონსერვაციო ჩარევის არეალების სქემა*
*დანართი: № 6 ფიზიკური სამუშაოების გეგმა - გრაფიკი*
*დანართი: № 7 ხარჯთაღრიცხვა*

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შესრულებულია ყოფილი კინოთეატრი აპოლოს შენობის რეაბილიტაცია - ადაპტაციის პროექტის ფარგლებში და მოიცავს ინტერიერის დეკორის კვლევითი სამუშაოების დეტალურ ანგარიშს, აღნიშნული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ ჩარევის მეთოდოლოგიას და დოკუმენტურ მასალას.

## კვლევა

დოკუმენტის კვლევით ნაწილში შესწავლილი და გაანალიზებულია შენობის ფიზიკური ისტორია, ინტერიერის დეკორთან მიმართებაში იდენტიფიცირებულია ინტერიერის დეკორის დაზიანების ტიპები და დამაზიანებელი ფაქტორები. განსაზღვრულია მხატვრული დეკორის შესრულების ტექნიკა და მოსაპირკეთებელი მასალის რაობა. ინვაზიური კვლევის საფუძველზე შესწავლილია კედლების და სხვა დეკორატიული ელემენტების სტრატიგრაფიული ფენები.
დოკუმენტის ამავე ნაწილში მოცემულია გრაფიკული და ფოტო მასალა.

კვლევითი ნაწილის ფაგლებში მოხდა საარქივო მასალების მოძიება და დამუშავება, ასევე დადგინდა უახლოეს წარსულში შენობიდან გადარჩენის მიზნით გატანილი ინტერიერის დეკორის დეტალების ნაწილის ადგილმდებარეობა.
შესაბამის არქივებში შენობის ინტერიერის შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით ჩატარდა დამატებით მოკვლევა კერძოდ მოძიებულ იქნა საქართველოს ეროვნული არქივის კინო ფონდში დაცული 1919 -1020 წლებში კინოთეატრ აპოლოს ინტერიერში გადაღებული ფილმები, რომლებიც სამწუხაროდ დაკარგული აღმოჩნდა.
ასევე გადამოწმდა თბილქალაქპროექტის არქივი, თუმცა უშედეგოდ.

ინტერიერის დეკორის კვლევა პირველი ეტაპია “აპოლო”-ს რეკონსტრუქცია ადაპტაციის პროექტისათვისთვის, რომელსაც მოყვება ძირითადად პრაქტიკული სამუშაოების მეთოდოლოგიის აღწერით დაკომპლექტებული დოკუმენტი.

## საკონსერვაციო ჩარევის მეთოდოლოგია

დოკუმენტის ამ ნაწილში განხილულია ინტერიერის დეკორის ფიზიკური მდგომარეობის გაჯანსაღების და გრძელვადიანი შენარჩუნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ამასთან შენობის არქიტექტურული ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში ინტერიერის დეკორის მიმართ წარმოქმნილი რისკების ანალზი და შემცირების გზები.
ახალი ფუნქციური დატვირთვისათვის საჭირო სამუშაოების დროს დეკორის დაცულობის და სწორი ექსპლუატაციის კომპონენტები,

# თავი I

## *კვლევა*

### 1. კინოთეატრი აპოლო - ისტორიული კონტექსტი

*კინოთეატრი აპოლოს შენობა აღმაშენებლის გამზირის (მაშინდელი მიხეილის პროსპექტი) და კარგარეთელის ქუჩის კუთხეში მდებარეობს და მაშტაბით და მოცულობით დომინირებს ქუჩის განაშენიანებაში.*

*მოდერნის სტილში აგებული „აპოლო" პირველი ელექტრონული კინოთეატრი იყო თბილისში რომელიც 1909 წლის 12 აპრილს გაიხსნა მიხეილის პროსპექტზე.*






**1909 -1914**

არსებობს ვერსია, რომ „აპოლოს" პროექტი იმ დროის ცნობილ თბილისელ არქიტექტორს, *ლეოპოლდ ბილფელდს* ეკუთვნოდა, თუმცა, ამის დამადასტურებელი ფაქტების მოძიება ამ დროისათვის შეუძლებელია. ცნობილია, რომ შენობის ამგები და მისი პირველი მფლობელი მდიდარი გერმანელი კოლონისტი *გ.გეგელი* იყო. ელექტრონული თეატრის მოწყობა კომპანია *„რეიშმა" და კარლ ვილსისმა* განახორციელეს, ხოლო შენობის არქიტექტურული მორთულობა არქიტექტურული ძერწვის ჩეხ ოსტატებს – *ა. ნოვაკსა და კარლ სოუჩეკს* შეუსრულებიათ.
მიუხედავად იმისა, რომ კინოთეატრი 1909 წელს გაიხსნა, თეატრის შიდა ინტერიერის მოპირკეთება მხოლოდ 1914 წელს დასრულდა.
თბილისში მოღვაწე იტალიელი მშენებლის კარლო მორეტის ცნობით, გერმანელების შემდეგ „აპოლო" იტალიელების, *ძმები რიჩების* საკუთრებაში გადასულა. ერთი პერიოდი „აპოლოსა" და თბილისის სხვა კინოთეატრების მფლობელი მეცენატი *მიხეილ არამიანციც* იყო.

თბილისის საისტორიო არქივებში კინოთეატრის ორიგინალი არქიტექტურული პროექტი არ იძებნება.

**კინოთეატრი "ოქტომბერი"**

საბჭოთა პერიოდში „აპოლოს" სახელი შეუცვალეს და „ოქტომბერი" უწოდეს, ამ ცვლილების ზუსტი თარიღი უცნობია 1955-56 წლების დოკუმენტაციაში კინოთეატრი უკვე მოიხსენიება "ოქტომბერი"-ად.
შენობის ინტერიერში დღემდე მოიძებნება დეკორატიული ელემენტები რომლებზეც კინოთეატრი "ოქტომბრი"-ს სახელია ამოტვიფრული (მაგ. შემოჩენილი სარკის ხის მოჩარჩოება კიბის უჯრედის კედელზე).

**1955 -1956**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობის არც ორიგინალი და არც კინოთეატრის "ოქტომბრად" გადაკეთების პროექტები არ არის შემორჩენილი. ერთადერთი დოკუმენტაცია ცსსა ტექნიკურ განყოფილებაში შენახული პროექტია, რომლიც აღწერს 1956-1957წწ. კინოთეატრ "აპოლო"-ს, იმდროისთვის "ოქტომბერი" -ს, ფართოეკრანიან კინოდარბაზად რეკონსტრუქციისთვის საჭირო ღონისძიებებს.
საპროექტო დავალება გაცემულია 1955წ. ივლისში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ. ამ დოკუმენტში რეკონსტრუქციის განხორციელება ეკისრება `თბილქალაქპროექტს.
პროექტის განმარტებითი ბარათიდან ვიგებთ, რომ იმდროისთვის დარბაზი 1000 კაცს იტევდა, თუმცა, ბილეთების ვესტიბიული და ფოიე გაბარიტით არ შეესაბამებოდა ამ მოცემულობას. შესაბამისად, სეანსის შემდგომ გამომსვლელი და შემსვლელი მაყურებელი ერთმანეთს პირისპირ ხვდებოდა, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. სტუმრების მოძრაობის ეს გრაფიკი ასევე არ პასუხობდა იმდროინდელ ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს.

პროექტის მიხედვით:

1. ვესტიბიულში სალაროებმა ადგილი იცვალა არსებული ფოიეს გამონთავისუფლების მიზნით;
2. არსებული ორი კარის ნაცვლად გაჩნდა ერთი _ შესასვლელი კარი, ხოლო გამოსასვლელი კარი დარბაზის ბოლოს გაიჭრა;
3. არსებული კინოდარბაზის ქვეშ გაჩნდა ახალი, 5 მ-ის სიმაღლის სივრცე, რომელშიაც განთავსდა ახალი ფოიე, სანიტარული კვანძები და დამხმარე სათავსოები, რაც მოხერხდა დარბაზის არსებული იატაკის დაშლისა და ახალი, ამაღლებული დონის შექმნის ხარჯზე;
4.ამფითეატრის გვერდითი ლოჟების მოშლის ხარჯზე დაგრძელდა კიბეების მარში, რაც კინოდარბაზის განტვირთვისთვის აუცილებელი იყო.
5. მნიშვნელოვნად შეიცვალა თავად კინოეკრანის ვიზუალი, და როგორც აღნიშნულია ხის პორტალის ფორმის ეკრანის მოჩარჩოების ნაცვლად (რომლის ამსახველი ფოტომასალა არ გაგვაჩნია), მოეწყო ფართო ეკრანი, რომელიც იატაკის დონიდან იწყებოდა. ამასთან, ეკრანის ქვეშ მოეწყო ესტრადა სტერეოფონიზირებული ხმისათვის. ეკრანის წინ კი სასცენო ფარდა დამაგრდა.
6. პროექტის ფარგლებში მოდერნიზაცია განიცადა ელექტროგაყვანილობის, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებმა, წყალგაყვანილობამ და კანალიზაციამ.
7. რეკონსტრუქციის განსახორციელებლად, ახალი სივრცის გასამაგრებლად, გაძლიერებული იქნა შენობის ფუნდამენტი, რაც საკმაოდ რთული სამუშაო იყო იმ პერიოდისათვის. ასევე გაძლიერდა ამფითეატრის დამჭერი ხის კონსტრუქცია რკინა-ბეტონის ჩართვით.

**ინტერიერის დეკორის კვლვისთვის მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის საპროექტო დავალება,** მისი მიხედვით მიუხედავად საფუძვლიანი რეკონსტრუქციისა, რომელმაც შეცვალა კინოთეატრის შიდა გეგმარებითი მოწყობა და ახალ ყაიდაზე გადაიყვანა მისი ფუნქციონირება, პრაქტიკულად ხელუხლებლად დარჩა ინტერიერის მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები: *“მაყურებელთა დარბაზის შიდა არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმება პროექტის მიხედვით იგივე რჩება, ჩაუტარდება მხოლოდ რემონტი და გვერდითი ბარხატის ფარდები განახლდება”.*

**1990**

1990 წელს კი კინოთეატრს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ძველი სახელი „აპოლო” დაუბრუნდა. სამწუხაროდ, არც ამ პერიოდის რეკონსტრუქციის დოკუმენტაციაა შემორჩენილი.

**2010**

2008 – 20010 წლებში აღამაშებლის გამზირის რეაბილიტაციის - პროექტის „ძველი ტფილისის ახალი სიცოცხლის ფარგლებში“ რესტავრირდა შენობის ფასადი. განახლდა ფასადის ნალესობა, თავდაპირველი დაზიანებული სტუკოს დეტალები ჩანაცვლდა ახლით. ახლიდან

დამუშავდა და შეიღება ფასადის მთელი პერიმეტრი, შეიცვლა გადახურვა და ხის კარ - ფანჯარა.

## „აპოლო“ მფლობელობის ისტორია

საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ „აპოლოს“ პრივატიზება პირველად 1992 წელს, შემდეგ კი 1998 წელს მოხდა. 2002 წელს კინოთეატრი "აპოლო" სს "ქართული ფილმის" მიერ გასხვისდა იმ პირობით, რომ კინოთეატრს ათი წლით პროფილი შეუნარჩუნდებოდა და ახალი მეპატრონე მილიონ-ნახევარი ლარის ინვესტიციებს განახორციელებდა.

მოგვიანებით შენობა გაიყიდა და მისი მფლობელი შპს "თეატრები აპოლო" გახდა. 2018 წლიდან შენობა „კონფიდენს გრუპი“-ს საკუთრებაშია.

*იხ: კინოთეატრი აპოლოს შენობის საკუთრების რეგისტრაციის დოკუმენტაცია* ***დანართი № 1***

## 2. ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტა და დეკორის შესრულების ტექნიკა

კინოთეატრი აპოლო XX საუკუნის თბილისის ერთ ერთი ღირებული შენობაა, რომელიც თავისი ისტორიით და მხატვრულ - არქიტექტურული გადაწყვეტით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროპული თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში.
ორსართულიანი ნაგებობა ერთი მიწისქვედა სართულით და სხვენით გადაწყვეტილია მოდერნის სტილიში. მოდერნის ელემენტებს ვხვდებით შენობის ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინში, მის სტრუქტურულ გადაწყვეტაში, გამოყენებულ სამშენებლო მასალებსა და ტექნიკებში.

შენობა ნაშენია ქვიშა ცემენტის დუღაბზე ამოყვანილი აგურის წყობით. აგურის წყობის მასიურ კედლებს ვხვდებით შენობის ფუნდამენტშიც. სართულშუა გადახურვები ზოგან ხისაა, ზოგ შემთხვევაში კი მოგვიანებით მოწყობილი რკინა ბეტონის ფილას ვხვდებით. ხის კონსტრუქციაა გამოყენებული სხვენის შემთხვევაშიც.
ინტერიერის კედლები გაჯით არის შელესილი, გაჯითვეა გამოყვანილი პროფილირებული დეტალები. დეკორის ძირითადი ნაწილი თაბაშირის სტუკოს ტექნიკით არის შესრულებული.
კედლების და ჭერის ნალესობა მოწყობილია მეტალის ბადეზე რომელიც კედლების და ჭერის მთლიან სიბრტყეებზეა გაჭიმული.
დარბაზის გარდა ყველა სხვა სივრცეში მოზაიკური იატაკია მოწყობილი, ჩამოსხმული მოზაიკური საფეხურებია გამოყენებული მეტალის კასაურებზე აწყობილი კიბისთვის.

შენობის ინტერიერი პომპეზურ, დიდ, ღია სევრცეებად არის დაყოფილი და განვითარებული კინო დარბაზის დასავლეთ მხარეს, ინტერიერში კინოდარბაზი დომინირებს, როგორც მაშტაბით ასევე დეკორატიული მორთულობის თვალსაზრისითაც და სხვა სივრცეებისგან განსხვავებით ყველაზე მძაფრად სწორედ აქ იგრძნობა მოდერნის სტილის თავისებურებები.

არანაკლებ პომპეზურია შენობის დანარჩენი სივრცეების: - გეგმით მრგვალი ფოიეს, დიდი ვესტიბიულების, გალერეების და კიბის უჯრედების გაფორმებაც, რომელთა დეკორატიული მორთულობა დარბაზთან ერთად საერთო მხატვრული გადაწყვეტის კონცეფციაში ერთიანდება და ქმნის შენობის ჩამოყალიბებულ მხატვრულ სახეს.

კინოთეატრი აპოლოს ინტერიერის მხატვრული გაფორმება მოიცავს ჭერის და კედლის დეკორატიული ნალესობისგან და არქიტექტურული ელემენტებისგან შემდგარ კომპოზიციებს. მოზაიკურ იატაკებს, ტერაცოს ტექნიკით ნალეს კედლის რეგისტრებს, მოზაიკური კიბეების რკინის დეკორატიულ მოიაჯირებს და ხის მხატვრულად დამუშავებულ ნაკეთობებს.

## კინო დარბაზი

კინო დარბაზის სამდონიანი ინტერიერი უხვი დეკორით არის შემკული, ჭერი, კედლები, მეორე და მესამე იარუსზე განლაგებული ლოჟა და აივნები გაფორმებულია თაბაშირის სტუკოს ნაძერწი რთულდეკორატიული ელემენტებით.

გეგმით მოგრძო ფორმის დარბაზის ჭერზე ცენტრული კომპოზიციაა წარმოდგენილი, ორი წრიული ფორმის ლუნეტით და ფართე დეკორატიული და პროფილირებული მოჩარჩოებებით.

ჭერის დეკორს ასრულებს თაღოვანი ფორმის კარნიზი. კარნიზის ქვედა ნაწილზე, კედლების მთელ პერიმეტრს ვარდულებით და გირლიანდებით მორთული დაახლოებით 1მ -ის სიმაღლის პანო შემოუყვება, მის ქვედა რეგისტრზე 2 მ - ის სიმაღლის ბიაზია გაჭიმული, რომელიც ოქროსფრად დაფერილ მოჩარჩებაშია მოქცეული.

დარბაზის გრძივი კედლების მორთულობის ზემოთ აღწერილი კომპოზიცია ჭერიდან ლოჟის დონემდე გრძელდება, ქვედა ნაწილზე კი პარალელური კედლების დეკორატიული გაფორმება ერთმანეთისგან განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ვხვდებით აივანს, აივნის გარე კედლის მორთულობას და ამავე აივნის ზემოთ ღიობის გარშემო არსებულ სტუკოს დეკორს. მეორე შემთხვევაში კი ამავე სიმაღლეზე წარმოდგენილია დაბალრელიეფურ პილასტრებს შორის მოქცეული სტუკოს ნაძერწობით შესრულებული ინდივიდუალური პანოები.

დარბაზის ზურგის კედელი სადაა, დეკორი მხოლოდ მესამე დონის - ლოჟის აივნის გარე კედლებზე და ლოჟის ქვედა ნაწილზე - პარტერის ჭერზეა წამოდგენილი.

კედელი კი, რომელზეც ერთ დროს დარბაზის მთავარი ფუნქციური ელემენტი - ეკრანი წამოდგენილი ეკიდა სადაა. ამ კედლის გაფორმება ზედა პერიმეტრზე არსებული დეკორატიული პანოთი და ეკრანის გვერდებზე ორი დეკორატიული პილიასტრით შემოიფარგლება.

აღსანიშნავია დერეფნისა და დარბაზის გამყოფი ტიხარიც სადაც ჩართულია მცირე ზომის შეწყვილებული სვეტები რთულდეკრატიული კორინთული კაპიტელებით.

დარბაზის ინტერიერში დომინირებს პასტელური ფერთა კოლორიტი. ღია ცისფერი, რძისფერი და მწვანე და ცისფერი ტონალობები.

რთულდეკორატიული ნაძერწობების ზედაპირები ნაწილობრივ ბრინჯაოს საღებავით არის დაფერილი.

გარდა კედლების და ჭერის მორთულობისა მხატვრულად არის დამუშავებული დარბაზის აივნის და ზედა იარუსის მოაჯირები, რომლებიც მოპირკეთებული ხის შპონის ბადით.





## ვესტიბიული (პირველ სართულზე)

კინოთეატრის პირველი სართულის ვესტიბიული გეგმით წრიული ფორმის შესასვლელით და ცენტრალური ფოიეთი წარმოადგენს მაღალჭერიან არასტანდარტული ფორმის სივრცეს.

გეგმით მრგვალი შესასვლელი ცენტრალურ ვესტიბიულს სამი თანაბარი ზომის ღიობით უკავშირდება. დიდი ვესტიბიულის ცენტრში ორ მასიურ კოლონაზე დაყრდნობილი ცრუ პორტიკია მოწყობილი, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დარბაზში შესასვლელი ღიობებია გაჭრილი.

პირველი სართულის ვესტიბიულში მოხვედრა, როგორც შენობის ცენტრალური შემოსასვლელიდან ასევე გვერდითა შესასვლელებიდან და ვესტიბიულის ნაწილში განთავსებული ორი მთავარი კიბის უჯრედის სივრცეებიდან არის შესაძლებელი.

კობის უჯრედები ცენტრალური ვესტიბიულის სივრცისგან რკინის ჭედური მოაჯირით და ამ მოაჯირში ჩართული დეკორატიული სვეტების არის გამოყოფილი

მსგავსად კინოდარბაზის მორთულობისა, ამ სივრცის ინტერიერის დეკორის კომპოზიციაც ძირითადად სტუკოს რთულდეკორატიული ელემენტებისგან შედგება, რომლებიც როგორც კედელზე ასევე სხვა კონსტრუქციულ თუ არქიტექტურულ დეტალებზე გვხვდება.

ამ სივრცის ჭერის დეკორი სრულად დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ ჭერზე გაჭიმული ბიაზის ფრაგმენტი, რომელიც თანადროული არ უნდა იყოს და უფრო მოგვიანებით უნდა იყოს მოწყობილი. რაც შეეხება გეგმით წრიული ფორმის შემოსასვლელს აქ ჭერის დეკორი სავარაუდოდ თითქმის უცვლელი თუმცა დაზიანებული სახით არის შემორჩენილი. ასევე დაზიანებულია კედლების დეკორი, რომელიც ძირითადად სტუკოს ორნამენტულ დეკორატიული ნაძერწობით არის მორთული. კედლების ქვედა რეგისტრები იატაკიდან 2 მმ - ის სიმაღლეზე დამუშავებულია ტერაცოს ტექნიკით შესრულებული ნალესით, რომელიც პროფილების და დონეების მიხედვით ერთმანეთისგან შემავსებლის ფერადოვანი გამით გამოირჩევა.

წრიული ფორმის შემოსასვლელისგან განსხვავებით ვესტიბიულის ცენტრალური სივრცის კედლები ძირითადად სადა ნალესობით არის დაფარული. დეკორი, რომელიც სტუკოს ორნამენტული პანოებით არის წარმოდგენილი, მხოლოდ კედლის ზედა ნაწილზე, კარნიზის მიმდებარედ, და დეკორატიული პილიასტრების და კოლონების თავებზე არსებული კაპიტელების სახით გვხვდება.









### ვესტიბიული (მეორე სართულზე)

მეორე სართულის ვესტიბიული თავისი გეგმარებით და კონფიგურაციით მსგავსია პირველი სართულისა, თუმცა მცირედ განსხვავებულია დეკორატიული მორთულობის თვალსაზრისით.

გეგმით მრგვალი ფორმის სივრცე - ფოიე პირველი სართულის ანალოგიურად არის მორთული. განსხვავებულია ცენტრალური ვესტიბიულის მორთულობა, რომელიც შეიძლება ითქვას უფრო სადაა ვიდრე პირველი სართული. ამ სივრცის ჭერზე გაჭიმულია ბიაზი, რომელზეც გაკრული დაფერილი დუბლიაჟის ქაღალდი, ჭერის სიბრტყეს გარს შემოუყვება მეანდრას ფორმის მოჩარჩება.

ვესტიბიულის კედლები სადაა, დეკორი მხოლოდ კედლის ზედა ნაწილში გვხვდება ფიგურული რელიეფური ფრიზის სახით, რომელიც სივრცის კედლების მთელს პერიმეტრზე წარმოდგენილი.







### გალერეა და კიბის უჯრედი

შენობის ინტერიერის მთავარი სივრცეების მსგავსად დეკორი გვხვდება ორივე სართულზე არსებულ გალეერეებსა და კიბის უჯრედებში. ერთი მხრიდან ფანჯრის ღიობებით გახსნილი დერეფნის ჭერის რკინის კონსტრუქცია შემკულია თაბაშირის სტუკოს პროფილირებული ნაძერწობებით და ორნამენტული დეტალებით. ამ სივრცის კედლები სადა ნალესობით არის შელესილი.

მეტალის კასაურებზე აწყობილი მოზაიკური საფეხურებიანი კიბე გაფორმებულია რკინის დეკორატიული მოაჯირით და რკინის კასაურებზე მიმაგრებული სტუკოს რთულდეკორატიული ნაძერწობებით.

დერეფნებში ორივე სართულზე შემორჩენილია თავდაპირველი - აპოლოს დროინდელი მოზაიკური იატაკი.













## 3. ინტერიერის დეკორის ფიზიკური მდგომარეობის აღწერა, დაზიანებების და დამაზიანებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია

### 3.1 შენობის ფიზიკური ისტორიის მოკლე ანალიზი ინტერიერის დეკორთან მიმართებაში

დანამდვილებით ვიცით, რომ შენობის ინტერიერის "მოპირკეთება" (რაც წესით მოიცავდა როგორც იატაკებს, ისე კედლებსა და ჭერის შემკობას) კინოთეატრის გახსნიდან კიდევ ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რაც არ არის გასაკვირი თუ გავითვალისისწინებთ კედლების ორნამენტული ნაძერწობის, დარბაზის ლოჟების ხის მოაჯირების, სვეტების კაპიტელების, იატაკის მოზაიკისა და ლითონის ჭედურობის შესრულების მაღალ ხარისხს. დღესდღეობით შენობის ინტერიერის თავდაპირველი სახის შესახებ სწორედ ზემოთხსენებული სტუკოს დეკორი გვიქმნის წარმოდგენას. (სამწუხაროდ, ინტერიერის სხვა მოდერნისთვის დამახასიათებელი დეტალები დაკარგული ან დაფარულია, მაგ. პირველი სართულის ცენტრალური ფოიეს ჭერის დეკორი, რომლებიც დიდი ალბათობით და სხვა მოდერნის შენობების მსგავსად მოხატული იყო).

ვიცით ისიც, რომ შენობის დასრულებიდან მის ინტერიერში სამჯერ (მასშტაბურად) ჩატარდა გადაკეთება/რეკონსტრუქციის სამუშაოები, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია კინოთეტრ "აპოლო"-ს "ოქტომბად" გადაკეთების დოკუმენტაციას (1914 -1955 წლებს შორის), არც 1955-56 წლების დეტალურ მასალას და არც 1990 წლის რეაბილიტაციის პროექტს. აქედან მხოლოდ ერთი რეკონსტრუქციის (1955-1956 წლების) დოკუმენტაცია გვაქვს შემორჩენილი[1], რომლის მიხედვითაც „ხელშეუხებელი" დარჩა ინტერიერის მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები - *"მაყურებელთა დარბაზის შიდა არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმება პროექტის მიხედვით იგივე რჩება, ჩაუტარდება მხოლოდ რემონტი და გვერდითი ბარხატის ფარდები განახლდება".* თუმცა, ჩვენ არ ვიცით რა იგულისხმება რემონტში...

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების და საკვლევი ღონისძიებების გატარების შემდეგ ინტერიერში ნამდვილად გამოვლინდა რამოდენიმე სარემონტო თუ სარეაბილიტაციო ჩარევის ამსახველი ფენა, თუმცა ფენების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში აჭარბებს სამს. ამასთან ცნობილი გახდა, რომ ფენათა და შესაბამისად ჩარევების რაოდენობა სივრცეების მიხედვით განსხვავდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სხვადასხავ პერიოდში შესრულებული სარემონტო ჩარევები ყოველთვის ინტერიერის მთლიან სივრცეს არ მოიცავდა და ზოგჯერ მხოლოდ შენობის ცალკეულ ნაწილებში მიმდინარეობა.

ასევე გაირკვა კონკრეტულ პერიოდში განხორციელებული ჩარევის მაშტაბი და სამუშაოების ტიპები.

კვლევის შედეგების მიხედვით დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1955 - 1956 წლების მაშტაბურ რეკონსტრუქციას ინტერიერის დეკორის განახლებითი სამუშაოები მოჰყვა. ამ სამუშაოებმა კი აპოლოს შენობის მთლიანი შიდა სივრცე მოიცვა და სავარაუდოდ

[1] დოკუმენტი ინახება თბილქალაქპროექტის არქივში

მნიშვნელოვნად შეცვალა ინტერიერის თავდაპირველი მხატვრული სახე, დეკორის პირვანდელი ფერადოვანი გადაწყვეტა და ზედაპირების დამუშავების ხარისხიც. აუცილებელია აღინიშნოს რომ 1955 -1956 წლებში დეკორის ზედაპირის დამუშავებისთვის გამოყენებული მასალების უმეტესობა არათავსებადი და ხშირ შემთხვევაში დამაზიანებელიც კი აღმოჩნდა ორიგინალი დეკორისთვის.



კვლევის ფარგლებში ინტერიერში იდენტიფიცირდა სამი ტიპის ნალესობა, რომელთაგან ერთი ყველაზე ადრეული მხოლოდ ძალიან მცირე ფრაგმენტის სახით არის შემორჩენილი.





პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელი ვესტიბიული

1. უხვთაბაშირიანი ხსნარი, შავი ქვიშის წვრილფრაქციული შემავსებლით - შემორჩენილი ძალიან მცირე ფრაგმენტების სახით.
2. გაჯის ნალესობა - რომელიც ინტერიერის კედლების სრულად მოიცავს. განირჩევა ორი ფენა
   1. ადრეული, დაკეჭნილი ზედაპირზე საღებავის ფენის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.
   2. შედარებით გვიანი, ზედაპირზე ზეთის საღებავის რამოდენიმე ფენით.
3. პორტლანდცემენტის ნალესობა

აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ შესაძლოა დღევანდელი გაჯის ნალესობა არ არის მშენებლობის თანადროული და ის 1955 – 1956 წლების დროინდელი ან კიდევ უფრო გვიანია. მანამდე კი ინტერიერის შიდა სივრცე უხვთაბაშირიანი ხსნარით უნდა ყოფილიყო შელესილი. ამაზე ასევე მეტყველებს გაჯის ნალესობაზე მრავალი შეკეთების და განახლების ფენის არსებობა. ნალესობის განახლების უკანასკნელი ჩარევა პორტლანდცემენტით არის შესრულებული და დიდი ალბათობით ეს უკანასკნელი 1990 ან 2000 - იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს. (პორტლანდცემენტის ნალესობას მხოლოდ პირველი სართულის, გეგმით მრგვალი ფოიეს და ცენტრალურ ნაწილში გამავალი ღიობების კედლებზე ვხვდებით).



პირველი სართულის წრიული ფრომის ვესტიბიულის ღიობები.

გარდა აღნიშნულისა ინტერიერის კვლევისას გამოვლინდა კედლის რელიეფური შპლიერის ორი განსხვავებული ფენა, რომელთაგან ერთი შესაძლოა წარმოადგენდეს თანადროულს ხოლო მეორე ინტერიერის უფრო გვიანი ცვლილების შედეგი უნდა იყოს.

რელიეფური შპალიერი გვხვდება ინტერიერში კედლის ქვედა რეგისტრზე, ასევე შეიმჩნევა რეგისტრების გამყოფი ხაზიც.





პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელი ვესტიბიული





დასავლეთის ფლიგელი, კიბის უჯრედი, პირველსა და მეორე სართულს შუა ბაქანი

განსხვავებული შესრულების ტექნიკა გამოვლინდა თაბაშირის ორნამენტული ნაძერწობების დამუშავებაშიც.

სავარაუდოდ თავდაპირველი სტუკოს დეკორი შესრულებულია ტრადიციული ტექნიკით, რა შემთხვევაშიც დეტალების არმირებისთვის გამოყენებულია ხის ანათალები და მცენარეული ჩანართები. მოგვიანებით განახლებულ დეტალებში კი არმირებისთვის ვხვდებით სხვადასხვა ტიპის მასალას: - ალუმინის მავთული და ელ სადენები. ზოგ შემთხვევაში თაბაშირის დეტალები გვხვდება არმირების გარეშე.



ახალი სტუკოს დეტალი, ალუმინის მავთულის არმირება.

საერთო ჯამში, ინვაზიური კვლევის საშუალებით გაირკვა, რომ ინტერიერის დღეს არსებული შიდა მოპირკეთების დიდი ნაწილი (ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულად, ზოგ შემთხვევაში კი სრულად) განახლებულია.

შეცვლილი და განახლებულია:

1. ნალესობა - ვესტიბიულში, გალერეებში;
2. სტუკოს დეკორატიული ელემენტების ნაწილი - მეორე სართულის ვესტიბიულის სვეტების ძირებზე წარმოდგენილი ცხვრის თავები, დასავლეთის მხარეს არსებული კიბის უჯრედის კოლონის კაპიტელი, დარბაზის გვერდითა კედლების დეკორის ნაწილი.

განახლებულია მხოლოდ ზედაპირები:

1. გალერეების ჭერის დეკორი, ვესტიბიულების სტუკოს ნაძერწობა, კინოდარბაზის კედლების ზედა ნაწილი და ჭერის დეკორი;

2000 -იანი სარემონტო ფენით არის დაფარული:

1. პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელის კედლების ქვედა რეგისტრზე არსებული ტერაცოს დეკორატიული ნალესობა.
2. გალერეების და ცენტრალური ფოიეს კედლები (ორივე სართულზე).

კვლევისას ინტერიერში არ გამოვლენილა კედლის მხატვრობის კვალი, თუმცა მეტნაკლებად გაირკვა თავდაპირველი ფერადოვანი კოლორიტი. *(ინტერიერის დღეს არსებული ფერადოვანი გადაწყვეტა არა თუ იმეორებს თავდაპირველ კოლორიტს არამედ რადიკალურად განსხვავდება პირვანდელი ფერადოვანი გასაწყვეტისგან).* თავდაპირველი კოლორიტის შესახებ კი წარმოდგენას გვიქმნის მუქ ლურჯ ფრად დაფერილი ლითონის ჭედურობა, მაყურებელთა დარბაზში გამოყენებული მუქი წითელი ბარხატის ფარდები, დეკროატიული ელემენტების ზედაპირის პასტელური ფერები (ღია მწვანე, ვარდისფერი, იისფერი) და ოქროსფერი ათინათები. მსგავსი დეტალები, მოდერნისთვის დამახასიათებელ საინტერესო აქცენტებს სვამდა და აცოცხლებდა, შედარებით ნეიტრალური ტონალობის კედლებს*).*

ინტერიერის მოპირკეთების და დეკორატიული ელემენტების ზედაპირების სტრატიგრაფიის დეტალური აღწერისათვის იხ: - *„ინტერიერის დეკორის ზედაპირების სტრატიგრაფიული ჭრილები“.*

### 3.2 არსებული მდგომარეობის აღწერა

ინტერიერის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების კონტექსტში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრება.

***საუკეთესო*** - მდგომარეობა რომელიც აღწერს დეკორს, რომელიც ახალია და მასზე დამაზიანებელ ფაქტორებს უარყოფითად ჯერ არ უმოქმედია.

***ძალიან კარგი*** - ახლად შექმნილი, ახლად რესტავრირებული ან დაუზიანებლად შემორჩენილი ელემენტების მდგომარეობის შესაფასებლად.

***კარგი*** - დაუზიანებლად შემორჩენილი ელემენტების მდგომარეობის შესაფასებლად, რომელზეც შეიმჩნევა დროისმიერი დაზიანებების კვალი (ეს დაზიანებები არ არის გამოწვეული, არაადექვატური ექსპლუატაციით, შეუსაბამო ჩარევით მექანიკური და ფიზიკური ზემოქმედებით ან მოუვლელობით).

***საშუალოდ მძიმე*** - განსაზღვრავს ინტერიერის დეკორის მდგომარეობას, რომელიც საჭიროებს სარესტავრაციო ჩარევას, მაგრამ ამავდროულად აღსაწერი ელემენტების მთლიანობა შენარჩუნებულია და მასზე არსებული დაზიანებები სრულად ექვემდებარება საკონსერვაციო - სარესტავრაციო ქმედებებს.

***მძიმე*** - აღწერს მდგომარეობას რომელიც მოითხოვს მაშტაბურ ინტერვენციას და რომელ შემთხვევაშიც აღსაწერი ელემენტის გარკვეული ნაწილი დაკარგულია, მისი ვიზუალური და ესთეტიური მხარე კი დარღვეულია.

***ძალიან მძიმე*** - განსაზღვრავს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ობიექტის დიდი ნაწილი დაკარგული ან განცალკევებულია, დარღვეულია მისი თავდაპირველი გამომსახველობა და კონტექსტი. ამასთან ობიექტის შემადგენელი ნაწილების სამომავლო შენარჩუნებისათვის აუცილებელია გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების გატარება და მისი დიდი ნაწილი მოითხოვს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

ჩამოთვლილი ტერმინებიდან შენობის ინტერიერის ფიზიკური მდგომარეობის დახასიათებისათვის ვიყენებთ ტერმინებს **მძიმე**, **საშუალოდ მძიმე** და **ძალიან მძიმე.**

კინოთეატრი აპოლოს შენობის ინტერიერის დეკორის ფიზიკური მდგომარეობის შეფასებისას უნდა გავითავლისწინოთ, რომ შენობის ინტერიერის მოსაპირკეთებელი მასალის დეგრადაციის პროცესი წლების განმავლობაში ხანგრძლივად და კომპლექსურად მიმდინარეობდა. ამ პროცესში იმ დროისმიერ დამაზიანებელ ფაქტორებთან ერთად, რასაც სამშენებლო მასალა გარემოს აგრესიული და დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედებით განიცდის, უმთავრეს როლს თამაშობს ზემოთ აღწერილი სარემონტო ჩარევები. სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება თითქმის ყველა დაზიანება და ინტერიერის საერთო, ძალიან მძიმე მდგომარეობა, რაც საბოლოო ჯამში მისი მხატვრული სახის და აუთენტურობის ხარისხის დაქვეითებაში გამოიხატება.

წლების განმავლობაში უფუნქციოდ მიტოვებული შენობა ამ დროისათვის პრაქტიკულად ამორტიზებულია. სრულად მოშლილია და ზოგან საერთოდ აღარ არსებობს შიდა საინჟინრო კომუნიკაციების ქსელი, დაკარგული და განადგურებულია აუთენტური განათების აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი. აღარ არსებობს კინოჩვენებისთვის საჭირო ელექტრო - ტექნიკური აპარატურა და ეკრანი.

ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო ფოტომასალა, რომელზეც ასახულია ინტერიერის საერთო მდგომარეობა მეტყველებს იმაზე, რომ შენობის შიდა სივრცის დაზიანების პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ 2009 წელს შენობაში შემორჩენილი იყო საბჭოთა პერიოდის ტექნიკური აღჭურვილობა და ავეჯის ნაწილი, რომლებიც დღეს გამქრალია. ამ პერიოდის ფოტოებზე ჩანს, რომ ნალესობის და დეკორის დეტალების უმეტესობაც შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო.



II სართულის ფოიე, ვერძის თავი სვეტის ბაზაზე - ფოტო 2009 წელი, ნინო კორძახია



II სართულის ფოიე, ვერძის თავი სვეტის ბაზაზე - ფოტო 2019 წელი.



კინოდარბაზი - ფოტო 2009 წელი, ნინო კორძახია



კინოდარბაზი - ფოტო 2019 წელი



კინოსაპროექციო ოთახი და აღჭურვილობა - ფოტო 2009 წელი, ნინო კორძახია

*ამ დროისათვის ინტერიერის ჭერის და კედლების ნალესობის და დეკორატიული ელემენტების ფიზიკური მდომარეობა ყველა შემთხვევაში ძალიან მძიმეა. დაზიანებები თანაბარი სიმძმით არის გავრცელებული შენობის შიდა სივრცის მთელს პერიმეტრზე.*

### გვიანი სარემონტო ჩარევები

როგორც ჩვენს მიერ არაერთხელ აღინიშნა ინტერიერის დეკორის დამაზიანებელ ფაქტორებს შორის ყველაზე მკვეთრად სწორედ გვიანი და შეუსაბამო სარემონტო ჩარევების შედეგად გამოწვეული დაზიანებები იკვეთება.

1. დაკარგული და განახლებული თავდაპირველი ნალესობა - გამოყენებული შეუსაბამო და არათავსებადი მასალები და შეუქცევადი მეთოდები.
2. გადაღებილი და ფაქტურა დაკარგული თავდაპირველი ზედაპირები, დარღვეული საერთო მხატვრული სახე









3. დაკარგული და განახლებული სტუკოს დეტალები

ინტერიერში წარმოდგენილი დეკორის ელემენტების უმეტესობა შენობის თანადროულია, ნაწილი კი მძიმე დაზიანებების შედეგად განახლებულია. განახლების მიზეზი გვაინი სარეკონსტრუქციო სამუშაოებიც უნდა იყოს. სტუკოს დეტალების (როგორც განახლებული ასევე თანადროული) ნაწილი დაკარგულია, რამოდენიმე დეტალი გამიზნულად არის მოხსნილი და შენობიდან გატანალი.



თავდაპირველი სტუკოს დეტალი, ცერძის გამოსახულება.



გვიან განახლებული ვერძის დეტალი

## მოუვლელობა და არასწორი ექსპლუატაცია

ტენით გამოწვეული დაზიანებები

შენობის სახურავის მოუწესრიგებლობის, ფანჯრების არა გერმეტულობის და სავარაუდოდ წარსულში ფასადის ნალესობის დაზიანების შედეგად ინტერიერში დიდი ხნის განმავლობაში სისტემატიურად ხდებოდა ატმოსფერული ნალექების ინფილტრაცია. რამაც სავალალო და ძალიან მძიმე დაზიანებამდე მიიყვანა ნალესობა და თაბაშირის სტუკოს დეტალები.

ამ მიზეზით შენობის წრიული ფორმის ვესტიბიულების კედლებზე ნალესობა გაფხვიერებული და ჩამოშლილია. ტენით გაჯერებულობის კვალი ეტყობა თაბაშირის სტუკოს დეკორატიულ ნაძერწობებსაც. ნესტით გამოწვეული დაზიანებები შეიმჩნევა დარბაზის ჭერის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში და კედლების პირველი რეგისტრის პერიმეტზე.















## აუთენტური დეტალების ძარცვა და არაადექვატური დემონტაჟი.

კინოთეატრი აპოლოს და შემდგომში კინოთეატრი ოქტომბრის ფუნქციონირების პერიოდში შენობა აღჭურვილი იყო იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი მაღალი ხარისხის ტექნიკური აღჭურვილობით. განათების სისტემით, შიდა ფუნქციური თუ დეკორატიული ავეჯით. გადმოცემით ვიცით ისიც, რომ კინო აპოლოს დროს შენობაში იყო რესტორანი, სადაც მოიხმარდნენ აპოლოს ლოგოიან ფაიფურის ჭურჭერს.
ინვენტარსა და ავეჯთან ერთად შენობიდან გატანიალი დეკორატიული ელემენტების ნაწილიც. ინტერიერის დეკორის გარკვეული ნაწილი კი სარემონტო ჩარევებს შეეწირა.





*კინოდარბაზი. გაძარცული და დაკარგული ავეჯი.*



*პირველი სართულის ვესტიბიული. სართულშუა გადახურვის კონსტრუქციის გაძლიერების მიზნით ჩამოხსნილი და დაკარგული ჭერზე გაჭიმული ბიაზი*



*კიბის უჯრედი, კარგარეთელის ქუჩის მხრიდან. კედლის ნალესობაზე ჩანს კედლის სარკის კვალი.*

### მექანიკური დაზიანება

შენობის არასწორი ექსპლუატაციის პირობებში, სხვადასხვა მიზეზებით პერიოდულად ხდებოდა ნალესობის და სტუკოს დეკორის ფიზიკური დაზიანება.

1. ახალი ელექტრო ქსელის მოწყობის მიზნით ჩამოტეხილი და ჩამოშლილი ნალესობა და ორნამენტული დეკორი.
2. განახლების მიზნით მოხსნილი და დაზიანებულია დეტალები
3. სხვადასხვა მექანიკური ზემოქმედების შედეგად დეკორის ზედაპირებზე მრავლად ვხვდებით სხვადასხვა ზომის დანაკარგებს, ჩამომტვრეულ მონაკვეთებს ნაკაწრებს და ვანდალიზმის კვალს.







### შენობის სტრუქტურული პრობლემებით გამოწვეული დაზიანებები

შენობის არამდგრადი კონსტრუქციული მდგომარეობა მძაფრად აისახა ინტერიერის დეკორზე, ნალესობასა და არქიტექტურულ დეტალებზე.

ინტერიერში მზიდ კედლებზე გამჭოლი სტრუქტურული ბზარების (სხვადასხვა ზომის და სიმძიმის) არსებობის გამო ჩამოშლილი და აგურის საფუძველს მოშრებულია ნალესობა. მშენებლობისას გამოყენებული მეტალის კონსტრუქციული დეტალების კოროზიის გამო მნიშვნელოვნად დაზიანებულია იატაკები, მზიდი კოლონების მხატვრული მოპირკეთების დეტალები და ჭერის კონსტრუქციები. კოროზირებული და ზოგიერთ მონაკვეთში ნალესობიანად განცალკევებულია მეტალის ბადე, რომელიც ნალესობის და საფუძვლის კავშირის სიმტკიცისთვის არის გამოყენებული.

შედარებით გვიანი სარეაბილიტაციო - სარემონტო და კონსტრუქციული გამაგრების მიზნით განხორციელებული ჩარევების შედეგად მოხსნილია აუთენტური ნალესობა, მის ნაცვლად კი მზიდ კედლებში გაჭრილი ღიობები გამაგრებულია მეტალის არმირებით.





*კონსტრუქციული გამაგრების მიზნით მოხსნილი ნალესობა*



*სტრუქტურული ბზარები მზიდ კედლებზე*



*ზედაპირული და გაჭოლი ბზარები დეკორატიულ ელემენტებზე*









მეტალის აუთენტური არმირების კოროზიის შედეგად გამოწვეული დაზიანებები - დანაკარგები და განცალკევება

*საერთო ჯამში შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ კინოთეატრი აპოლოს შენობის ინტერიერის ფიზიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მძიმეა, როგორც არქიტექტურული ასევე დეკორატიული ელემენტების დაზიანებების თვალსაზრისით.*

## 4. კედლის სტრატიგრაფიული კვლევის შედეგები

კინოთეატრი აპოლოს ინტერიერის დეკორის წინასაკონსერვაციო კვლევის და საკონსერვაციო ჩარევის მეთოდოლოგიის *ფარგლებში ჩატარებულ კედლების სტრატიგრაფიულ კვლევას წინ უძღოდა, „ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრის“ მიერ შესრულებული კვლევა 2019 წლის მარტში, პირველი კვლევის ფარგლებში აღებული იქნა სინჯები ლაბორატორიული კვლევისთვის. მეორე კვლევის ფარგლებში კი კედლის ზედაპირებზე გაკეთდა სხვადასხვა ზომის ჭრილები. ჭრილების გაკეთების მიზანი იყო სამუშაო მეთოდოლოგიის და კონცეფციის განსაზღვრა, , კედლების ზედაპირების სტრატიგრაფიის და თავდაპირველი ფენის დადგენა სამუშაოების პირველი და მეორე ეტაპისათვის (გადაუდებელი გამაგრება, გვიანდელი ფენების მოხსნა)*

*მეორე კვლევის ფარგლებში, გადამოწმდა პირველი კვლევის ზოგიერთი შედეგი (შედარებით დიდი ზომის ზედაპირების გახსნის საშუალებით) და ტესტირება ჩატარდა კედლის ახალ მონაკვეთებზე.*

კინოთეატრი აპოლოს ინტერიერის დეკორის *კვლევის დასკვნები და შემუშავებული კონსერვაციის მეთოდოლოგია ეფუძნება, როგორც პირველ ასევე მეორე სტრატიგრაფიულ კვლევას.*

*დანართში შეტანილია სტრატიგრაფიული ჭრილები, რომლებმაც თუნდაც მცირედი ინფორმაცია მოგვცა სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი სქემის შესახებ.*

**კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.1** [1]

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზი; |  |
| მიზანი: კედლის პირველი რეგისტრის ზედაპირის სტრატიგრაფიული ფენების დადგენა; | |
| დასკვნა: შეთეთრების ქვეშ გვხვდება ტერაცოს ტექნიკით შესრულებული ნალესობა რომელიც კარგ მდგომარეობაშია და ექვემდებარება მექანიკურ გაწმენდას; | |



ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.2




[1] A-“Apollo”, 1- სართული,1- სინჯის ნომერი

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.2

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული,წრიული დარბაზი; |  |
| მიზანი: სტუკოს ტექნიკით შესრულებული სვეტების ზედაპირის სტრატიგრაფიული ფენების დადგენა; | |
| დასკვნა: სვეტების ზედაპირი რამდენჯერმე არის გადაღებილი. სვეტების თავდპირველ შეფერილობდ განსაზღვრულია ღია ოქრას ტონალობის ზეთოვანი საღებავი, გრუნტით | |








## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.3

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული,წრიული დარბაზი; |  |
| მიზანი: სვეტების ზედა და ქვედა მონაკვეთებს შორის სიბრტყის სტრატიგრაფიული ფენების დადგენა; | |
| დასკვნა: შელესილობის 1 და ზეთოვანი საღებავის 1 ფენის ქვეშ ჩანს ტერაცოს ტექნიკით შესრულებული ნალესობა | |









## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.4

| | |
|---|---|
| ლოკაცია: პირველი სართული, წრიული დარბაზიდან დიდ დარბაზში გამავალი ღიობის მიმდებარედ |  |
| მიზანი: სვეტის ზედა მონაკვეთში, საღებავის რამდენიმე ფენის ქვეშ განირჩეოდა ქაღალდის კვალი. ჭრილი გაკეთების მიზანი იყო იმის დადგენა თუ რომელ ისტორიულ სქემას მიეკუთვნებოდა ქაღალდი და რა ფართობზე იყო გაკრული; | |
| დასკვნა: რელიეფური შპალერი, იატაკიდან 1.5 ზე. 20 სმ ის სიმაღლის ჰორიზონტალურ ზოლად იყო გაკრული. შპალერის უკან გაირჩევა ცემენტის ნალესობა; | |





## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.5

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზიდან დიდ დარბაზში გამავალი ღიობის მიმდებარედ |  |
| მიზანი: კედლის ფერწერული ზედაპირის სტრატიგრაფიის დადგენა; | |
| დასკვნა: თავდაპირველ ფრად განისაზღვრა ღია მწვანე ფერწერული ფენა. რომელიც გვხვდება ქვიშა თაბაშირიანი ნალესობის ზედაპირზე, აღნიშნული ნალესობა მხოლოდ მცირე ფრაგმენტის სახით არის შემორჩენილი.[2] | |








[2] *იმას, რომ კედლების ძირითადი სიბრტყეები დაფარული იყო ღია მწვანედ ადასტურებს პირველი სტრატიგრაფიული ფენების კვლევის ფარგლებში აღებული სინჯების ლაბორატორიული ანალიზები.*

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.6

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზიდან დიდ დარბაზში გამავალი ღიობის მიმდებარედ |  |
| მიზანი: სვეტის ზედა მონაკვეთში, საღებავის რამდენიმე ფენის ქვეშ განირჩეოდა ისტორიული შპალერის ნაშთი. ჭრილი გაკეთების მიზანი იყო იმის დადგენა თუ რომელ სქემას მიეკუთვნებოდა ქაღალდი და რა ფართობზე იყო გაკრული; | |
| დასკვნა: რელიეფური შპალერი ვიზუალური დათვალიერებით ახლოსაა არტ დეკო სტილთან. უცნაურია ის ფორმა რითაც დღემდე შემორჩა, შპალიერი აშკარად ბასრი საგნით არის ჩამოჭრილი და მისი კიდეები გრძელდება საღებავის სქელი ფენებით. ეს კონკრეტული შპალიერი დიდი ალბათობით მიეკუთვნება იმავე პერიოდს, რომელსაც ჰორიზონტალურად გაკრული შპალერი. | |








## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.7

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზიდან დიდ დარბაზში გამავალი ღიობის მიმდებარედ |  |
| მიზანი: აქაც ისევე როგორც A.1.4 ლოკაციის შემთხვევაში, სვეტის ზედა მონაკვეთში, საღებავის რამდენიმე ფენის ქვეშ განირჩეოდა ისტორიული შპალერის ნაშთი. ჭრილი გაკეთების მიზანი იყო იმის დადგენა იგივე ტიპის შპალერის ნარჩენი იყო ამ მონაკვეთში როგორც A.1.4 - ჭრილის გახსნისას აღმოჩნდა. | |
| დასკვნა: იგივე ტიპის რელიეფური შპალერი, როგორიც A.1.4ლოკაციაზე აღმოჩნდა მთელ სვეტს მიუყვება (იატაკიდან 1.5 ზე. 20 სმ ის სიმაღლის ჰორიზონტალურ ზოლად იყო გაკრული). ამასთან აშკარაა რომ A.1.6 ჭრილის გახსნისას აღმოჩენილი შპალერი და ჰორიზონტალურად გაკრული შპალერი ერთსა და იმავე ისტორიულ სქემას მიეკუთვნება. | |









## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.9

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული,წრიული დარბაზიდან დიდ დარბაზში გამავალი ღიობის მიმდებარედ |  |
| მიზანი: აქაც ისევე როგორც A.1.6 ლოკაციის შემთხვევაში, სვეტის ქვედა მონაკვეთში, საღებავის რამდენიმე ფენის ქვეშ განირჩეოდა ისტორიული შპალერის ნაშთი. ჭრილი გაკეთების მიზანი იყო იმის დადგენა იგივე ტიპის შპალერის ნარჩენი იყო ამ მონაკვეთში როგორც A.1.6 - ჭრილის გახსნისას აღმოჩნდა. | |
| დასკვნა: ვიზუალურად განსხვავებული შპალერი, თუმცა ამ შემთხვევაშიც რელიეფური. ამასთან სვეტის A და B მხარეს სხვადასხვა რელიეფური შპალერია გამოყენებული. ზედა რეგისტრზე, აქაც ჰორიზონტალური შპალერის ზოლი მიუყვება. | |







## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.11, A.1.12, A.1.14, A.1.15

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზის შემდგომი სვეტებიანი დარბაზი (ვესტიბიული) |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიული ჭრილების გახსნის მიზანი იყო გაგვერკვია ისტორიული შპალერის არსებობა სივრცეში. |  |
| დასკვნა: აქაც ისევე როგორც მომრგვალბულ დარბაზებში მთელს სივრცეში, აღმოჩნდა ჰორიზონტალური ისტორიული შპალერის ნაშთები. კედლის ქვედა რეგისტრის შპალერის ნაშთები ამ სივრცეში არ აღმოჩნდა. | |












## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.10, A.1.13;

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, წრიული დარბაზის შემდგომი სვეტებიანი დარბაზი |  |
| მიზანი: სვეტების ზედაპირის სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფერის დადგენა; |  |
| დასკვნა: სტრატიგრაფიული ჭრილები გაიჭრა დარბაზის ორ სვეტზე. A.1.10 ის შემთხვევაში პირველად ფენად განისაზღვრა ღია ოქრას ფერწერული ფენა. A.1.13 ის შემთხვევაში ოქრას ფენა არ აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში საფუძვლიდან პირველი ფენა არის ღვინისფერი. მოგვიანებით ორივე სვეტის შელესილობაზე დაკვირვებისას გაირკვა რომ სვეტი A.1.13 -ით გადალესილია და საღებავების ფენები დატანილია არა თავდაპირველ შელესილობის ფენაზე. თავდაპირველ შეფერილობად განისაზღვრა ოქრას საღებავის ფენა. ამასვე ადასტურებს, დარბაზის დასავლეთით მდებარე სვეტზე აღმოჩენილი ოქრას ფერწერული ფენა. | |










## დარბაზის კედლები

დარბაზის კედლების სიბრტყეების თავდაპირველი შეფერილობის განსაზღვრა რთულდება მრავლობითი გვიანდელი ჩარევების გამო, როგორც ბათქაშის ისე ფერწერული ფენების მხრივ.

ბათქაშის არა სისტემური გვიანდელი შევსებების გამო ადვილი შესაძლებელია თავდაპირველი ფენის დადგენა შეცდომით მოხდეს. უმეტეს შემთხვევებში გახსნილი ზონდაჟების საფუძვლად გვიანდელი და არა თავდაპირველი ბათქაშის ფენა განისაზღვრა. შესაძლოა აქაც ისევე როგორც წრიული დარბაზების კედლის სიბრტყეები დაფერილი ყოფილიყო ღია მწვანედ. ფერის დადგენა უნდა მოხდეს სამუშაოების მეორე ეტაპზე (გვიანი დანამატების მოხსნის შემდეგ).




1. კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი (რომელიც გვიჩვენებს გვიანი შელესილობის ფენაზე დატანილ საღებავის ფენებიდან თავდაპირველს)
2. ამ მონაკვეთზე ჩანს კედლის თავდაპირველი შელესილობა და შემდგომი განახლება, რომელზეც გახსნილია სტრატიგრაფიული ჭრილი.

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.19

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 1 სართული, კიბის კასაურის სიბრტყეზე არსებული დეკორის ელემენტი. |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: საღებავისა და ოქროსფერი ბრინჯაოს რამდნიმე ფენის ქვეშ აღმოჩნდა ძველი მოოქროვება. | |








**მაყურებელთა დარბაზი,** 3-ე სართული

**კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.21**

| | |
|---|---|
| ლოკაცია: ლოკაცია: 3-ე სართული, დარბაზის სამხრეთ კედელი, ზედა რეგისტრი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: ღია მწვანე ცარცისებური ფერწერული ფენა. | |





**მაყურებელთა დარბაზი,** 3-ე სართული

**კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.1.21**

| | |
|---|---|
| ლოკაცია: ლოკაცია: 3-ე სართული, დარბაზის სამხრეთის კედლეი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: საღებავის ზედა ფენის ქვეშ აღმოჩნდა დაახლოებით იგივე, ოდნავ უფრო ღია ფერის ფენა, რომელიც დადებულია დაგრუნტულ ხის დეკორატიულ ელემენტზე. | |






**მაყურებელთა დარბაზი,** 3-ე სართული

**კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.24**

| | |
|---|---|
| ლოკაცია: დარბაზი, 3 სართული, კედლის პილასტრები |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: საღებავის ზედა ფენის ქვეშ აღმოჩნდა დაახლოებით იგივე, ოდნავ უფრო ღია ფერის ფენა, რომელიც დადებულია დაგრუნტულ ხის პილასტრზე. | |







## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.26

| | |
|---|---|
| ლოკაცია: დარბაზი, 3 სართული, კედლის პილასტრები |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: კედლების ფონი მომწვანო ცისფერი ცარცისებური ფერწერული ფენა. | |








## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.27

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, კედლის პილასტრები |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გვიანდელი ოქროსფერი ბრინჯაოს საღებავის და გრუნტის ქვეშ აღმოჩნდა თავდაპირველი მომწვანო შეფერილობის მოოქროვება. | |






*სხვა დაკვირვებები და შედეგები მაყურებელთა დარბაზის შესახებ*

დარბაზის სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი „რესტავრირებულია“ ხის და ბიაზის საშუალებით, რომლებიც ხის ქვე-ჩარჩოებზე არის გადაკრული.





რესტავრაციის ფენა



თავდაპირველი ნალესობის ნაშთი, რომელიც გადაღებილია საღებავის გვიანი ფენით.



გვიან დამატებული ხის ფირფიტები, რომლებიც გამოყენებულია რელიეფური ნაძერწობის ჩარჩოდ.

უხეშად არის გადაღებილი თავად თაბაშირის ნაძერწობაც.

მაყურებელთა მთავარი დარბაზის მესამე სართულზე, ზემოთ ხსენებული, გვიანი ხის პანელების ქვეშ, ქვედა რეგისტრზე, ვხვდებით ადრეულ ისტორიული შპალერის ნაშთს, რომელიც ისევე როგორც ინტერიეის სხვა მონაკვეთებში აღმოჩენილი შპალერი რელიეფურია და წარმოადგენს სქელ, მუყაოსებრ საფუძველზე დატანილ რელიეფურ მცენარეულ მოტივს.





დარბაზის სხვა მონაკვეთებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თავდაპირველ ბათქაშის შემორჩენილ მონაკვეთებზე აღბეჭდილი რეგისტრები, მყარი და სქელი ისტორიული შპალერის კიდეების ანაბეჭდია. აქედან ვარაუდობთ, რომ დარბაზშიც, ისევე როგორც ინტერიერის სხვა მონაკვეთებში, კედლის ქვედა რეგისტრები ქაღალდით უნდა ყოფილიყო დაფარული.

**მესამე სართულის დერეფნები, მრგვალი და სწორკუთხა დარბაზები**მესამე სართულზე მრგვალ და სწორკუთა დარბაზებში ისევე როგორც შენობის სხვა სართულებზე გვხვდება გვიანი, უხეში გადაკეთებები. ბათქაშის, ზოგან შელესილობისა და ფერწერული ფენების ქვეშ დარჩენილი პირვანდელი სქემა აქაც ორ რეგისტრად იყოფა. მიუხედავად იმისა რომ გაირჩევა რეგისტრების გამყოფი ხაზი, ზედა და ქვედა რეგისტრის სქემა თითქმის არსად არ არის შემორჩენილი. რეგისტრის ძლიერი კვალი ისევ და ისევ ქვედა რეგისტრზე გამოყენებული ისტორიული შპალერის კვალი უნდა იყოს.

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.29

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, გრძივი დერეფანი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გვიანდელი ზეთოვანი საღებავების ქვეშ გაირჩევა ისტორიული შპალერის კვალი. ამ დერეფანშიც ისევე როგორც მომრგვალებულ და სწორკუთხა გარე დარბაზებში კედლები ორ რეისტრად იყო გაყოფილი. | |






ისტორიული შპალერის კვალი

კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.29

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, გრძივი დერეფანი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გვიანდელი ზეთოვანი საღებავების ქვეშ გაირჩევა ოქრას სავარაუდოდ თავდაპირველი ფენა. | |






## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.29

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, კიბის მარშის მიმდებარე კედელი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გამყოფი რეგისტრის ზემოთ გაირჩევა სავარაუდოდ თავდაპირველი ოხრას ტონალობის ცარცისებრი საღებავის ფენა. | |





## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.33

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, მომრგვალებული დარბაზი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გამყოფი რეგისტრის ზემოთ გაირჩევა სავარაუდოდ თავდაპირველი, ცარცისებრი საღებავის კვალი. რეგისტრის ქვემოთ კი ისტორიული შპალერის კვალი. | |





ისტორიული შპალერის კვალი



ცარცისებრი ფერწერული ფენის კვალი

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.36

| | |
|---|---|
| ლოკაცია: 3 სართული, სწორკუთხა დარბაზი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: გაირჩევა ისტორიული შპალერი, ვიზუალურად იგივე როგორც გვხვდება პირველი სართულის სწორკუთხა დარბაზის გასასვლელში და დასავლეთ კიბის მარშის კედელზე.<br><br>აქვე ჩანს, რომ ისტოიული შპალერი გაკრულია ბათქაშის პირველ ფენაზე, რომელის სვეტის მეორე მხარეს დაკეჭნილია და გადალესილია ბათქაშის ახალი ფენით რომელიც გრძელდება კარის შემდეგ მთელ კედელზე. | |













1- მესამე სართულზე აღმოჩენილი ისტორიული შპალერი

2- პირველი სართულზე აღმოჩენილი ისტორიული შპალერი





ნაკეჭნები თავდაპირველი ნალესობის ფენაზე

## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.38

| | |
|---|---|
| ლოკაცია:3 სართული, სწორკუთხა დარბაზი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: აქაც გაირჩევა ისტორიული შპალერის რეგისტრი, მის დონეზე დაკარგული მონაკვეთები შევსებულია საღებავის რამოდენიმე, სქელი ფენით. რეგისტრის დონეზე კი ძალიან თხელი, ცარცისებრი საღებავის ფენა. | |








## კედლის ზედაპირის სტრატიგრაფიული ჭრილი A.3.38

| | |
|---|---|
| ლოკაცია: კიბის უჯრედი, შნობის დასავლეთ ნაწილი |  |
| მიზანი: სტრატიგრაფიისა და თავდაპირველი ფენის დადგენა | |
| დასკვნა: აქაც გაირჩევა ისტორიული შპალერის რეგისტრი, მის დონეზე დაკარგული მონაკვეთები შევსებულია საღებავის რამოდენიმე, სქელი ფენით. რეგისტრის დონეზე კი ძალიან თხელი, ცარცისებრი საღებავის ფენა. | |






# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია




სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი



კინოდარბაზის ჭერი და ჭერის კარნიზი

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი:
1/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია





სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი




კინოდარბაზის
ჩრდილოეთის კედელი

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი:
3/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია




სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი



კინოდარბაზის სამხრეთის კედელი

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი:
2/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია





სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი




პირველი სართულის ვესტიბიული

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი: 4/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია





სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი




მეორე სართულის
ვესტიბიული

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი:
6/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

გვიანი სარემონტო - სარეაბილიტაციო ფენების სტრატიგრაფია





სამუშაო ჯგუფი:
ლელა ნინოშვილი
მარიამ კალხიტაშვილი




პირველი სართულის წრიული ფორმის ვესტიბიულის ჭერი

ლეგენდა

- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- სრულად განახლებული, ქვედა ფენებში არ ვლინდება თავთაპირველი ფენების კვალი
- თავდაპირველი, ზედაპირების უხეში დამუშავებით

გვერდი: 7/8

თარიღი:
28.08.2019

# ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"

კალენდარული დღის ვადაში, ხოლო გამყიდველი ვალდებულია მიიღოს ნასყიდობის ფასი. ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის ჩიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ მოხდება ნასყიდობის ფასის სრულად და ერთჯერადად გადახდა, მაშინ გამყიდველს უფლება აქვს მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება (გავიდეს ხელშეკრულებიდან). ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მხარეები იბრუნებენ იმას, რაც მიიღეს ამ ხელშეკრულებით: მყიდველი ვალდებულია დააბრუნოს ნასყიდობის საგანი, ხოლო გამყიდველი ვალდებულია დააბრუნოს ნასყიდობის ფასის ის ნაწილი, რომელიც მყიდველმა გადაიხადა. ამასთანავე, მყიდველს არ აუნაზღაურდება ნასყიდობის საგნის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხები, ხოლო მიუცილებელი გაუმჯობესებანი დარჩება გამყიდველს. გამყიდველმა მყიდველს ნასყიდობის საგანი უნდა გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დაწოწმების შემდეგ, ხოლო, ხოლო მყიდველმა უნდა მიიღოს ნასყიდობის საგანი. მყიდველი ვალდებულია გონივრულ ვადაში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ორი წლის განმავლობაში განახორციელოს ინვესტიცია ერთი მილიონ ოთხასიათასი ლარის ოდენობით, რის საშუალებითაც: ა) გაამაგროს ნასყიდობის საგანში შემავალი შენობის საძირკველი; ბ) შეაკეთოს შენობის სახურავი; გ) შეაკეთოს შენობის ინტერიერი და ექსტერიერი და აღდგენისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნორმატივი; დ) შენობას არ შეუცვალოს არქიტექტურული სახე; ე) შენობაში მოაწყობს კინოსაკონცერტო დარბაზი და თვეში ორჯერ მაინც მოაწყოს ქართული ფილმის ჩვენება. გარდა ამისა, მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს ნასყიდობის საგნის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი კომუნალური გადასახადების დავალიანება ათიათასი ლარის ოდენობით; მყიდველი ვალდებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან დადოს ძეგლის (ნასყიდობის საგნის) დაცვითი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველი წერილობით გააფრთხილოს ვალდებულების დარღვევის შესახებ და დაუნიშნოს ვალდებულების გამოსწორების გონივრული ვადა, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და დაიბრუნოს ნასყიდობის საგანი. ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს სრულად დაუბრუნოს ნასყიდობის ფასი, ამასთანავე, მყიდველს არ აუნაზღაურდება ის დანახარჯი, რაც მან გაიღო ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების შესრულების ფარგლებში (შენობის საძირკვლის გამაგრება, სახურავის შეკეთება, ინტერიერისა და ექსტერიერის გაუმჯობესება); გამყიდველს არ გადაეცემა კინოსაკონცერტო აპარატურა და სხვა მოძრავი ნივთები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ათი წლის ვადაში არ შეცვლის შენობის ფუნქციურ დანიშნულებას – შენობას გამოიყენებს მხოლოდ კინოსაკონცერტო საქმიანობისათვის; მყიდველს უფლება აქვს პროფილის შენარჩუნების ვადის გასვლამდე გაასხვისოს ნასყიდობის საგანი, ან სამართავად გადასცეს მესამე პირს მხოლოდ იმ ვალდებულებებთან ერთად, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებით. პროფილის შენარჩუნების ვადის გასვლამდე ნასყიდობის საგნის გასხვისების შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნები წარუდგინოს ნასყიდობის საგნის შემძენს. ნასყიდობის საგანი არის უფლებრივად უნაკლო. იგი არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ 2002 წლის 14 იანვარს გაცემული ცნობით №473. გამყიდველის განცხადებით, ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ.

გამყიდველმა წინამდებარე ხელშეკრულების დადების ნებართვა მიიღო დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით (14.01.2002 წ. ხელმოწერა დამოწმებული ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ 14.01.2002 წ. რეესტრში რეგისტრაციის №1-21, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსაგან (07.11.2001 წ. №61-2419/6-1). „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მყიდველმა საქართველოს კულტურის სამინისტროს წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ერთი თვით ადრე (24.09.2001 წ.) გაუგზავნა შეტყობინება ნასყიდობის საგნის გაყიდვის განზრახვის შესახებ (სამინისტროში შეტყობინების შესვლის თარიღი: 25.09.2001 წ. №ს/1227). მხარეებმა განაცხადეს, რომ ნასყიდობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი. მყიდველისათვის ცნობილია, რომ ნასყიდობის საგანში შემავალი შენობა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, სახურავის შეკეთებას, სახურავის შეკეთებას, დაბზარული კედლების აღდგენას, ინტერიერისა და ექსტერიერის აღდგენა-გაუმჯობესებასა და სხვა სარესტავრაციო სამუშაოთა შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს ნასყიდობის ფასთან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოიშლება და გამყიდველი ვალდებულია მყიდველებს აუნაზღაუროს ზიანი. თუ მყიდველი არ მოითხოვს ნაკლის გამო ამ ხელშეკრულების მოშლას და არც ნაკლის გამოსწორებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი 6 დოკუმენტი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 11.01.2002 წ. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 რეგისტრატურის მიერ, განაცხადის რეგისტრაციის №19783/2001, თარიღი: 17.08.2001, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო 1/13/8/3/25. დანართი – საკადასტრო რუკა, რომლის სარეგისტრაციო №19783/2001, თარიღი: 17.08.2001 წ. 2. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ 2002 წლის 14 იანვარს გაცემული ცნობა. 3. შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილება (14.01.2002 წ. ხელმოწერა დამოწმებული ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ 14.01.2002 წ. რეესტრში რეგისტრაციის №1-21; 4. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წერილი (07.11.2001 წ. №61-2419/6-1). 5. შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ დირექტორის შეტყობინება (24.09.2001 წ.) ნასყიდობის საგნის გაყიდვის განზრახვის შესახებ (კულტურის სამინისტროში შეტყობინების შესვლის თარიღი: 25.09.2001 წ. №ს/1227). 6. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 10.01.2002 წ. გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ შესახებ. ამასთანავე, შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ წესდება ინახება ნოტარიუს ოთარ ზოიძის სანოტარო არქივში. მყიდველმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური 1162,50 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს) 22-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 232,50 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილისა, სულ გადახდილია: 1395,0 ლარი. ეს ხელშეკრულება შედგენილია ცხრა თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ოთარ ზოიძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა გამყიდველს. გამყიდველი ვალდებულია მყიდველისათვის

განკუთვნილი ეგზემპლარები მყიდველს გადასცეს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისთანავე. მხარეებს. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება დანართებითურთ და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.



საქართველოს კულტურის მინისტრს
ქ-ნ ს. გოგიბერიძეს

ქალბატონო სესილ !

თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე კინოთეატრი "აპოლო", რომელიც ირიცხება შ.პ.ს."ქართული ფილმი"უძრავი ქონება"-ს ბალანსზე და ითვლის თავისი არსებობის ერთ საუკუნეზე მეტს, დიდი ხანია რაც აღარ ფუნქციონირებს შენობის ავარიული მდგომარეობის გამო.

კერძოდ: დამჯდარია ფუნდამენტის მარცხენა მხარე, დაბზარულია კედლები, შესაკეთებელია სახურავი, სარემონტოა შენობის როგორც ფასადი ასევე ინტერიერი.

კინოთეატრის შეკეთება და რეაბილიტაცია /ახალი კინოაპროექციო აპარატურით და ავეჯით აღჭურვა/, მისი როგორც კინოთეატრის ფუნქციის აღდგენა,საჭიროებს სოლიდურ ინვესტიციებს 700-800 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში.

შპს "უძრავ ქონებას" აღნიშნული მოცულობის სახსრები ამჟამად არ გააჩნია,დარგში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

ჩვენ მიერ გამოიძებნა მყიდველი,რომელიც თანახმაა შენობისათვის კინოთეატრის ფუნქციის შენარჩუნების პირობით, შეისყიდოს კ/თ "აპოლოს" შენობა და გასწიოს ყველა აღნიშნული ხარჯი, რითაც საშუალება გვეძლევა გაყიდვიდან მიღებული თანხა წარიმართოს კინოწარმოების რეაბილიტაციის პროგრამის დასაფინანსებლად.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა კ/თ"აპოლოს" შენობა აღრიცხულია როგორც ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურის ძეგლი,ამდენად იმედს გამოვთქვამთ რომ შენობის გადარჩენის და მისი,როგორც კინოთეატრის ანუ ერთიანი კულტურული კერის შენარჩუნების მიზნით, თანხმად საქართველოს კანონისა "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" მუხლი 28 პუნქტი 2-ისა /ასეთივე წერილი გაეგზავნა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს ა/წ 11 ივნისს № 01/119, მიღებულია № 171 12.06.01/, კულტურის სამინისტრო დადებითად მიუდგება აღნიშნული პროექტის განხორციელებას.

პატივისცემით
შ.პ.ს. "უძრავი ქონების"
დირექტორი

გ. ბეგიაშვილი

# საქართველო
# სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

№ 61-2413/6-1 "07" 11 2007წ.

თქვენს № _____ "____" _____ 200 წ.

სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი"-ს
სამეთვალყურეო საბჭოს

✓სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი"-ს
დირექტორს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ქართული ფილმი – უძრავი ქონება"-ს

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. "ქართული ფილმი – უძრავი ქონება"-ს (№135 05.11.01წ), საქართველოს კულტურის სამინისტროს (№017/1952-17 06.11.01წ) და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (№ა-46 06.11.01წ) წერილების გათვალისწინებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №135-ში მდებარე კინოთეატრ "აპოლო"-ს (2200 კვ.მ.) გასხვისება განხორციელდეს ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

– ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 500 000 ლარი;
– მყიდველმა საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდა უნდა უზრუნველყოს 1 თვის ვადაში;
– მყიდველი ვალდებულია შეინარჩუნოს ობიექტის პროფილი არანაკლებ 10 წლის განმავლობაში;
– მყიდველმა უნდა განახორციელოს 1 400 000 ლარის ინვესტიციები 2 წლის განმავლობაში;
– მყიდველმა უნდა განახორციელოს კომუნალური გადასახადების დავალიანების გადახდა 10 000 ლარის ოდენობით 1 თვის განმავლობაში;
– მყიდველი ვალდებულია დაიცვას "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" და "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნები;

380062 ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64; ტელ.: 29 48 75; ფაქსი 22 52 09, 29 00 04

– კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება უნდა განხორციელდეს განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ამასთან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ინფორმაცია კინოთეატრ "აპოლო"-ს განხვისების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.

*მინისტრის მოადგილე* *შ. ქლდიშვილი*

შემსრულებელი: გ. შარკოვი
ტელ: 29-00-05

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეესტრის ფორმულარი

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო
სასამართლოს სრული დასახელება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის № 2/4-38

| № | ა) სფირმო სახელწოდება (ფირმა)<br>ბ) ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი)<br>გ) საქმიანობის საგანი | საწესდებო კაპიტალი | ა) დამფუძნებელი პარტნიორები<br>ბ) დირექტორები<br>გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი, პროფესია, მათი პროცენტული წილი საწესდებო კაპიტალში, მისამართი) | წარმომადგენლობა დირექტორების მიერ | საერთო წარმომადგენლები ან პროკურისტები | რეგისტრაციის თარიღი და ხელმოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ა/<br><br>ბ/<br><br>გ/ | შ.პ.ს. "ქართული ფილმი-უძრავი ქონება"<br><br>ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. № 10-ა;<br><br>საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანია უძრავი ქონების მართვა და მართვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა;<br>საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს სხვა ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც კანონით არ | 4 819 860 /ოთხი მილიონ რვაას ცხრამეტი ათას რვაას სამოცი/ ლარი. | ბ/ გურამ ბეგიაშვილი, დაბ. 08.03.40წ. თბილისში, მცხ. თბილისი ბახტრიონის ქ. №20, ბ.74, პედაგოგი. | გ. ბეგიაშვილი | დამფუძნებელ პარტნიორის გადაწყვეტილება- 20.02.2001წ. | 23 თებერვალი 2001 | შპს "ქართული ფილმი-უძრავი ქონება" რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბის რ-ის სასამართლოს მიერ |

/ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნების მიღწევას და რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით, საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ნებართვას /ლიცენზიას/ საზოგადოება წარმართავს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

19.07.95წ. N2/4-36 დადგენილებით./წ 23.02.01წ-ს მიერ სამეწარმეო რეესტრში შეტანილია ცვლილებები საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან და წესდების ახალი რედაქციის მიღებასთან დაკავშირებით. უფლებამოსილების ვადა გაგრძელდა საზოგადოების დირექტორის /სამეთვალყურეო: დამფუძნებელ პარტნიორის გადაწყვეტილება 20.02.01წ. აუდიტორული დასკვნა- 19.02.2001 წელი/

2001წ 23.02.-ს [illegible]

მოსამართლე: [illegible]

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.0ა3.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

# საქართველო
## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
## მიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 19783/2001 თარიღი 17.08.2001 დანართი საკადასტრო რუკა

### ა) საკუთრების განყოფილება

სარეგისტრაციო ზონა თბილისი (დასახელება) 1 (კოდი)

სექტორი დიდუბე (დასახელება) 13 (კოდი)

კვარტლის № 8 ნაკვეთის № 3/25

ფართობი (კვ.მ) 1187 კვ.მ.

მისამართი დავით აღმაშენებლის გამზირი №135.

~~სახელმწიფო~~ / ~~ოჯახი~~ / საკუთარი

სრული / ~~შეზღუდული~~

პირველადი რეგისტრაცია / ~~ცვლილება~~

ნაკვეთის წინა № 3

უფლება საერთო საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო

### ბ) მესაკუთრის განყოფილება

| უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მესაკუთრე და მისი მისამართი |
|---|---|
| საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ."<br>საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის №07.04.55. დადგენილება.<br>საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 9 სექტემბრის №09-656/7-9 მოწერილობა.<br>ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 19 ივლისის დადგენილება (რეგისტრაციის №2/4-38).<br>საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 2 აგვისტოს №04-01-1397/6-1 მოწერილობა.<br>ქ. თბილისის ტექ. ალრიცხვის სამსახურის მიერ 2001 წლის 6 | მიწის ნაკვეთი – შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონება"-ს და თანამფლობელთა საერთო საკუთრება.<br>შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 2400 კვ.მ., აქედან 2209 კვ.მ. ფართობი– შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონება"-ს საკუთრება.<br>აქციების 2/3 ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია.<br>საზოგადოების იურიდიული მისამართია: ახმეტელის ქ. №10". |

/ან აპრიაკიი ეს საბერება საზოგადოების 19.07.95წ. N2/4-38 დადგენილ.ფოთ.ა/ნ

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

## გ) ვალდებულებების განყოფილება

| უფლების დამდასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მოსარგებლე | იყარაკირავნობა, ალნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი |
|---|---|---|
| | | |

## დ) იპოთეკის (გირავნობა) განყოფილება

| უფლების დამდასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | იპოთეკა | გირავნობა |
|---|---|---|
| | | |

სახელმწიფო რეგისტრატორი

ბ.ა.

ხელმოწერა

გაცემის თარიღი 11.01.2022

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

# საკადასტრო რუკა

მასშტაბი: 1:500

რეგისტრაციო № 19723/2001

მიწის ნაკვეთი:

საკადასტრო №: 1 ზონა თბილისი, 13 სექტორი დიდუბე, 8 კვარტალი, 3/25 ნაკვეთი

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №135

ფართობი: 1187 კვ.მ.

თარიღი: ~~17.08.2001 წ.~~

მესაკუთრე: შ.პ.ს "ქართული ფილმის ... კინებას" (კინოთეატრი „აპოლო")
თინა დვალიშვილი, ნანა გუნცაძე, ანდრო ზუბენკო

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი რეგისტრატურა №1

ბ.ა.

კ.შენგელია
სახელმწიფო რეგისტრატორი

+ თამაზ სალუქვაძე




№2737-01 წ.

66-Г-2

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
არასაცხოვრებელი შენობა
საცხოვრებელი შენობა
უძრავის დამადასტურებელი საბუთის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობა
შენობის ნომერი
ფარდული
სატრანსფორმატორო ჯიხურები და ელექტრო ქვესადგურები
სერვიტუტი
რეზერვუარი
ბორდიური
ღობე
კედელი
რკინიგზა
მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი
ხეები

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს   ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა   პ ა ლ ა ტ ა**

საქართველო, ქ. თბილისი
დავით აღმაშენებლის გამზირი №150

"[illegible]" "[illegible]" 200[illegible] წ.
№ 473

## ც ნ ო ბ ა
### უძრავ ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ

ამ ცნობით დასტურდება, რომ ცნობის გაცემის დღისათვის სსიპ "საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში" რეგისტრირებული ინფორმაციით უძრავ ქონებას, მდებარეს მისამართზე: ქ. თბილისი,

[illegible] N 135

და რომლის მესაკუთრეა [illegible]

ყადაღა არ ადევს.

ცნობა ძალაშია გაცემიდან ხუთი დღის განმავლობაში.
გადახდილია საზღაური 2.0 ლარი, აგრეთვე დღგ 0.40 ლარი.

[illegible] (ოთარ ზოიძე)

სსიპ "საქართველოს ნოტარიუსთა პალატის"
გამგეობის თავმჯდომარე

შემსრულებელი: [illegible] (ცირა დიდებულიძე)

შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“
დამფუძნებელი პარტნიორის
თანხმობა

ქ. თბილისი, 14 იანვარი, 2002 წელი

მე, რევაზ ჩხეიძე, როგორც გენერალური დირექტორი შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ დამფუძნებელი პარტნიორისა და საწესდებო კაპიტალის 100%-ის მესაკუთრის – ს.ს. „ქართული ფილმისა“, ს.ს. „ქართული ფილმის“ სახელით ვაცხადებ, რომ სააქციო საზოგადოება თანახმაა შპს „ქართულმა ფილმმა-უძრავმა ქონებამ“ (დირექტორი გურამ ბეგიაშვილი) გაყიდოს შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა – ყოფილი კინოთეატრი „აპოლო“, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №135) და დადოს შესაბამისი ხელშეკრულება.

რევაზ ჩხეიძე

ორიათასორი წლის თოთხმეტ იანვარს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5, მე-2 სართული, ოთახი №26) მომმართა ბატონმა რევაზ ჩხეიძემ, რომელმაც წარმოადგინა შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ დამფუძნებელი პარტნიორის თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე რევაზ ჩხეიძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რევაზ ჩხეიძემ (დაბადებული 08.12.1926 წ. ქუთაისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ლარსის ქ. №5, ბინა 3, პირადი №01018002702, პასპორტი: GEO №0004436, გაცემული 03.02.1996 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე რევაზ ჩხეიძის ნების გამოვლენის ნამდვილობა, ხოლო შემდეგ რევაზ ჩხეიძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას, რასაც ვადასტურებ. თანხმობა შედგენილია ათ ეგზემპლარად.
რეგისტრირებულია რეესტრში: 1-21

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 2,0 ლარი + 0,40 ლარი

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე



19783/2001

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთანხმებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

# საქართველო
## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
## მიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 19783/2001 3034/2002 თარიღი 17.08.2001 06.02.2002 დანართი საკადასტრო რუკა

06.10.10

### ა) საკუთრების განყოფილება

| | |
|---|---|
| სარეგისტრაციო ზონა თბილისი (დასახელება) 1 (კოდი) | ~~სახელმწიფო~~ / ~~იჯარა~~ / საკუთარი |
| სექტორი დიდუბე (დასახელება) 13 (კოდი) | სრული / ~~შეზღუდული~~ |
| კვარტლის № 8 ნაკვეთის № 3/25 | პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება |
| ფართობი (კვ.მ) 1187 კვ.მ | |
| მისამართი დავით აღმაშენებლის გამზირი №135. | ნაკვეთის წინა № 3 |
| უფლება საერთო საკუთრება | ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო |

### ბ) მესაკუთრის განყოფილება

| უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მესაკუთრე და მისი მისამართი |
|---|---|
| საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გადაცემების შესახებ."<br>საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის №07.04.55. დადგენილება.<br>საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 9 სექტემბრის №09-656/7-9 მოწერილობა.<br>ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 19 ივლისის დადგენილება (რეგისტრაციის №2/4-38).<br>საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 2 აგვისტოს №04-01-1397/6-1 მოწერილობა.<br>ქ. თბილისის ტექ. ინვენტარიზაციის სამსახურის ბიურო 2001 წლის 1 ნოემბრის ტექნიკური პასპორტი და 1959 წლის 18 მაისის ბარათი №24-2706 ცნობა. | მიწის ნაკვეთი: – ~~შპს „ქართული ფილმი ცქრავი ქონება"~~-ს და თანამფლობელთა საერთო საკუთრება. დავით აღმაშენებლის გამზირი №135-ში შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 2400 კვ.მ., აქედან 2209 კვ.მ. ფართობი– ~~შპს „ქართული ფილმი ცქრავი ქონება"~~-ს საკუთრება<br>აქციების 2/3 ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია.<br>~~სახელფასო უბნის იურიდიული მისამართია: ბაქოს ქ. №10~~ |

სანდრო წერეთელი 2002 წლის 19 იანვრის დაბრუნდა
ნასყიდობის ხელშეკრულების (ბათუმი, 1-22, ნაწილობრივი ო. ზედ).

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

## გ) ვალდებულებების განყოფილება

| უფლების დამდასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მოსარგებლე | იპოთეკა, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი |
|---|---|---|
| | | |

## დ) იპოთეკის (გირავნობა) განყოფილება

| უფლების დამდასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | იპოთეკა | გირავნობა |
|---|---|---|
| | | |

სახელმწიფო რეგისტრატორი

ხელმოწერა

გაცემის თარიღი 03.02.25

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში საკუთრების უფლების დასტურის გაცემის თარიღიდან ერთი თვის ვადაში

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

# საქართველო
# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
# მიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 3034/2002 თარიღი 06.02.2002 დანართი საკადასტრო რუკა

## ა) საკუთრების განყოფილება

| | |
|---|---|
| სარეგისტრაციო ზონა თბილისი (დასახელება) 1 (კოდი) | ~~სახელმწიფო~~ / ~~იჯარა~~ / საკუთარი |
| სექტორი დიდუბე (დასახელება) 13 (კოდი) | სრული / შეზღუდული |
| კვარტლის № 8 ნაკვეთის № 3/25 | ~~ბარველადი რეგისტრაცია~~ / ცვლილება |
| ფართობი (კვ.მ) 1187 კვ.მ. | |
| მისამართი დავით აღმაშენებლის გამზირი №135. | ნაკვეთის წინა № 3 |
| უფლება საერთო საკუთრება | ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო |

## ბ) მესაკუთრის განყოფილება

| უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მესაკუთრე და მისი მისამართი |
|---|---|
| სანოტარო წესით 2002 წლის 14 იანვარს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის №1-22, ნოტარიუსი ო. ზოიძე). | მიწის ნაკვეთი – თამაზ სახელაშვილის და თანამფლობელთა საერთო საკუთრება.<br>შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 2400 კვ.მ., აქედან 2209 კვ.მ. ფართობი– თამაზ სახელაშვილის (დაბ. 06.05.1941წ) საკუთრება.<br>მცხოვრები: ბაკელიას ქ №3. |

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/13/8/3/25

## გ) ვალდებულებების განყოფილება

| უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | მოსარგებლე | ოჯარა,ქირავნობა, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი |
|---|---|---|
| | | |

## დ) იპოთეკის (გირავნობა) განყოფილება

| უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი | იპოთეკა | გირავნობა |
|---|---|---|
| | | |

სახელმწიფო რეგისტრატორი

გაცემის თარიღი .....

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში საკუთრების უფლების დადასტურების გაცემის თარიღიდან ერთი თვის ვადაში

დანართი № 2

# კინოთეატრი აპოლო

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ №135

## ინტერიერის დეკორი

## წინასაკონსერვაციო კვლევა და საკონსერვაციო ჩარევის მეთოდოლოგია

საინტერპრეტაციო ცენტრი

## საინტერპრეტაციო ცენტრი

საინტერპრეტაციო ცენტრები იქმნება კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებთან და ხშირად ინტეგრირებულია დამთვარიელებელთა ცენტრებში. მათი მიზანია, დამთვალიელებელს წარუდგინოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძეგლის შესახებ, უამბოს მისი ისტორიისა და ღირებულებების შესახებ, განმარტოს და ფართო საზოგადოებისათვის გასაგებად, თანამედროვე მულტიმედიის დახმარებით წარადგინოს მასზე მიმდინარე კვლევითი, საკონსერვაციო თუ სახის სამუშაოების შედეგები და წარმოაჩინოს მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ტრადიციული მუზეუმისგან განსხვავებით, საინტერპრეტაციო ცენტრების მიზანი არ არის არტეფაქტების შეგროვება, კონსერვაცია და კვლევა. ისინი იქმნება მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების გადმოსაცემად, განათლებისა და ფართო საზოგადოების გათვიცნობიერების მიზნით.

საინტერპრეტაციო ცენტრები იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს მემკვიდრეობის სრულფასოვანი შემეცნებისთვის. ისინი ცდილობენ დამთვარიელებელში მოახდინონ აღმოჩენის პროცესის სტიმულირება და მემკვიდრეობასთან მათი ინტელექტუალური და ემოციური კავშირის დამყარება. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებენ ინტერაქტიულ, სცენოგრაფიულ გამოფენებსა და მულტიმედია პროგრამებს.

კლასიკური საინტერპრეტაციო ცენტრისგან განსხვავებით განახლებულ „აპოლოში“ ჩვენ არ მოვიაზრებთ ცალკე სივრცის გამოყოფას ან რაიმე დანამატის შექმნას, რომელსაც მხოლოდ ზემოთ ხსენებული ფუნქცია ექნება და დაემსგავსება კლასიკურ მუზეუმს ან მემორიალურ ოთახს. „აპოლოს“ ინტერიერს მოვიაზრებთ ერთ მთლიანობად, სადაც ინტერიერის სხვადასხვა მონაკვეთებზე მიმაგრებული QR კოდების საშუალებით, (რომელსაც გადავყავართ-ვებ გვერდზე) ვიზიტორებს მივაწვდით ინტერპრეტირებულ ინფორმაციას. ვიზიტორები გაეცნობიან შენობის ისტორიას, მის თავდაპირველ სახეს (3D რეკონსტრუქცია), შენობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებსა და ცალკეულ ისტორიულ პიროვნებებს (მაგ. A. თაბაშირის ავთენტურ დეკორზე მიმაგრებული QR კოდები მოგვითხრობს ჩეხი ოსტატების შესახებ, რომლებიც მუშაობდნენ თაბაშირის ნაძერწობის შექმნაზე; B. შენობის რომელიმე სივრცეში მიმაგრებული QR კოდი მოგვითხრობს 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს კინოცხოვრების შესახებ, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო “აპოლო“ სთან).

ვიზიტორებისათვის შექმნილი ინფორმაციის პაკეტი უნდა იყოს **ინტერაქტიული და სახალისო.** იმისთვის რომ ვიზიტორს დაამახსოვრდეს და კიდევ მოუნდეს შენობის მონახულება მათ **უნდა შევუქმნათ გამოცდილება და დავრჩეთ ობიექტურები ისტორიის მოყოლისას**. თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჩვენ მათ უნდა შევთავაზოთ **Edutainment** (Education (შემეცნება/განათლება) +Entertainment (გართობა)), რადგან პოტენციური ვიზიტორები არიან ძეგლის "მკითხველები" (Storysumer ინგლ. story

consumer (ისტორიის მომხმარებელი)). ამის მიღწევა შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

კინო-თეატრი „აპოლო“ საუკეთესო ადგილია საინტერპრეტაციო ცენტრის დასაგეგმად, ამის საშუალებას შენობის ინტერიერის უხვი გადაკეთებები გვაძლევს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ-პოლიტიკურ ცვლილებებთან. საინტერპრეტაციო ცენტრი საშუალებას მოგვცემს შენობის ინტერიერის კვლევისას აღმოჩენილი საინტერესო დეტალები არ ჩაიკარგოს არქივებში, არამედ მოხდეს მათი გადამუშავება და მნახველებისთვის მიწოდება. ეს იქნება პირველი მაგალითი საქართველოში, როდესაც რესტავრაციის პროცესში აღმოჩენილი საინტერესო დეტალები, (რომლებიც დაკაშირებულია ცელკეულ პიროვნებებთან თუ მოვლენებთან და საშუალებას გვაძლევს მოვყვეთ ისტორიები) და მკვლევარების მიერ მოპოვებული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი მხოლოდ შეზღუდული წრეებისთვის, არამედ დაგროვილ ინფორმაციის ადაპტირებულ ვერსიაზე წვდომა ექნება თითოეულ მოქალაქეს.

განახლებულ „აპოლოში“ საინტერპრეტაციო ცენტრის ელემენტების შეტანა საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ სივრცის ღიაობა დაინტერესებული საზოგადოებისთვის. იმ პირობებში, როცა აპოლო ახალი, კერძო მესაკუთრის მფლობელობაშია, ეს იქნება საშუალება საზოგადოებამ არ დაკარგოს სივცეში დაშვების საშუალება. იმისთვის, რომ მნახველებმა ხელი არ შეუშალონ სივრცეში კომერციული დაწესებულების ფუნქციონირებას ან მნახველებს არ შეექმნათ პრობლემა სივცეში შესვლაზე ინტერიერში მიმდინარე მოვლენების გამო (დახურული შეხვედრა, კინო-ჩვენება, კონფერენცია) სასურველია საზოგადოებას, რომლის მიზანი მხოლოდ ინტერიერთან და აპოლოს ისტორიასთან გაცნობა იქნება, კვირის გარკვეულ დღეებში ჰქონდეთ ტურის მოწყობის საშუალება.

საინტერპრეტაციო ცენტრის დეტალური კოცეფცია და ვიზიტორებისათვის მასალების შერჩევა უნდა მოხდეს მკვლევარების, კინოს იტორიკოსების, ხელოვნების ისტორიკოსების, არქიტექტორის და რესტავრატორების მიერ მას შემდეგ, რაც დასრულდება ინტერიერის რესტავრაცია- რეაბილიტაცია.

დანართი № 3

# კინოთეატრი აპოლო

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ №135

## ინტერიერის დეკორი

წინასაკონსერვაციო კვლევა და საკონსერვაციო ჩარევის მეთოდოლოგია

*საკონსერვაციო - სარესტავრაციო ინტერვენციის მეთოდები და მასალები*

**ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"**

აღმაშენებლის გამზ. № 135

საკონსერვაციო - სარესტავრაციო ინტერვენციის მეთოდები და მასალები

**წინასაკონსერვაციო მოსამზადებელი სამუშაოები**

| № | შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები | ლოკაცია | ჩარევის მეთოდოლოგია | გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერიერის შედა სივრცის დასუფთავება | ინტერიერის მთლიანი სივრცე | შენობის შედა სივრცე დასუფთავდეს სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან | |
| 2 | კინოდარბაზის ინტერიერში ინვენტარული ხარაჩოს მონტაჟი | კინოდარბაზი | მოეწყოს ინვენტარული ხარაჩო | ინვენტარული ხარაჩოს კონსტრუქცია |
| 3 | პორტატული, მოძრავი ხარჩოს მონტაჟი (სამოძრაოდ) | სამოძრაოდ | მოეწყოს ინვენტარული მოძრავი ხარჩო | ინვენტარული ხარაჩოს მოძრავი კონსტრუქცია |
| 4 | უფუნქციო, ძველი ელექტრო ქსელის დროებითი მოხსნა | ინტერიერის მთლიანი სივრცე | მექანიკურად, არსებული დეკორის დაზიანების გარეშე | მექანიკური ხელსაწყოები |
| 5 | ინტერიერში არსებული თავდაპირველი იატაკების (რომლის დროებითი მოხსნაც არ ხდება) დაცვა სამშენებლო სამუშაოების პროცესში | პირველი სართულის წრიული სივრცე, გალერეები მეორე და მესამე სართულზე | მოზაიკური იატაკები დაიფაროს პოლიეთილების და DVP ფილებით. | სქელი პოლიეთილენი, DVP ფილები. |
| 6 | სპეციალური დროებითი განათების ქსელი მონტაჟი. მოძრავი სისტემით | სარესტავრაციო სივრცეებში | მოეწყოს უსაფრთხო განათების სისტემა. | მაღალი გამტარიანობის მქონე ჩამრთველები და ელ სადებნები. |
| 7 | ინტერიერში უსაფრთხო, დროებითი სახელოსნო - სასაწყობე სივრცის მოწყობა და არჭურვა შესაბამისი ინვენტარით. | | სამუშაოების დაწყებამდე, წინასაკოსნერვაციო მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში ინტერიერში უნდა შეირჩეს უსაფრთხო სივრცე, სადაც არ იგეგმება მაშტაბური კონსტრუქციული გამაგრებითი ღონისძიებები უნდა მოეწყოს დროებითი სახელოსნო, სადაც დასაწყობდება და გარესტავრირდება სამუშაოების პირველი ეტაპის დროს მოხსნილი თაბაშირის სტუკოს დეტალები. | დროებითი სახელოსნო, სასაწყობე სივრცე არიჭურვოს დიდი ზომის მყარი მაგიდებით, სპეციალური, დროებითი განათების სისტემით. |
| 8 | სამუშაო სივრცის უსაფრთხოების ბანერით და სხვა დამცავი საშუალებებით აღჭურვა | | უსაფრთხოესბის ნორმების შესაბამისად მოხდეს სამუშაო სივრცის აღჭურვა უსაფრთხოების ბანერის და ყველა საჭირო ინვენტარით. | |

**ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"**

აღმაშენებლის გამზ. № 135

საკოსნერვაციო - სარესტავრაციო ინტერვენციის მეთოდები და მასალები

**I ეტაპი**

*ინტერიერის დეკორის რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთების იდენტიფიცირება და შესაბამისი დროებითი საფიქსაციო და გამაგრებითი ღონისძიებების გატარება. შენობის კონსტრუქციული საჭიროებიდან გამომდინარე*

*შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ ადაპტაცია - რესტავრაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენიბის კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერება და ამავდროულად შედარებით გვიან მიშენებული ფლიგელის დროებითი მოხსნა, ინტერიერის საკონსერვაციო - სარესტავრაციო სამუშაოების პირველი ეტაპი ითავლისწინებს ფიზიკური სამუშაოების დაწყებამდე დაკარგვის ან შემდგომი დაზიანების რისკის ქვეშ მყოფი დეკორის მონაკვეთების წინასწარ გამაგრებას. ასევე მაღალი რისკის ქვეშ მქოფი მონაკვეთების დემონტაჟს და კონსტრუქციული გამაგრების შემდგომ თავიდან მონტაჟის.*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **I სართული** | | | |
| | **ცენტრალური შესასვლელის ვესტიბიული (წრიული ფორმის სივრცე )** | | | |
| **№** | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |
| 1 | მაღალი რისკის ქვეშ მყოფი სტუკოს დეკორის დროებითი მოხსნა და სარესტვრაციო სახელოსნოში გადატანა | კედელი | ძლიერ დაზიანებული და საფუძველს მოშორებული მონაკვეთების დაყოფა ორიგინალი ნაკერების მიხედვით, დანომვრა და ფრთხილი მოხსნა. მოხსნამდე დეკორატიული ელემენტების ზედაპირის დაფარვა დამცავი ფენით (საკონსერვაციო ქაღალდი). მოხსნის შემდეგ დანომრილი დეტალები შიეფუთოს სპეც ქაღალდში და მოთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში. (კონტეინერები განთავსდეს შენობის დაცულ სივრცეში) | **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. მოჩარჩოების დაყოფვა: სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი) |
| 2 | **გალერეა** | | | |
| 3 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |
| 4 | დროებითი ფიქსაცია (პირველი სართულის გალერეის ჭერი) | ჭერი. ჭრილი: 1 - 3 | რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს წერტილოვნად. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 5 | მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთების მოხსნა (პირველი სართულის გალერეის ჭერი) | ჭერი. ჭრილი: 1 - 3 | ძლიერ დაზიანებული და საფუძველს მოშორებული მონაკვეთების მოხსნა, დანომვრა, შეფუთვა და უსაფრთხო ადგილას დასაწყობება (დეკორატიული დეტალების მოხსნამდე მოხდეს მათი დანომრვა ლოკაციის მიხედვით). საჭიროების შემთხვევაში ზედაპირის ზედაპირის დაცვა საკონსერვაციო ფენით | შესაფუთი მასალა: tyvek -ის ქაღალდით **ზედაპირის დაცვა** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 6 | **კინოდარბაზი** | | | |
| 7 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | ნალესობის და სტუკოს დეკორის დროებითი ფიქსაცია (კინოდარბაზის ცენტრალური სივრცის ჭერი) | ჭერი. გეგმა/ჭრილი: 1 - 5 | საფუძველს მოშორებული ნალესობის და სტუკოს დეკორის დროებითი ფიქსაცია შესრულდეს წერტილოვანი გამაგრებით ხსნარის გამოყენებით, სპეც ანკერების და დამცავი ბადის საშუალებით. *(იხ გრაფიკული ესკიზი)სპეც ანკერების რაოდენობა და ლოკაციები შეირჩეს ადგილზე ფიზიკური სამუშაოების პროცესში* | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. პლასტმასისი ან მეტალის უჯანგავი ანკერები. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. პლასტმასის ნახევრად ელასტიური ბადე. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 9 | ნალესობის და სტუკოს დეკორის დროებითი ფიქსაცია, მოხსნა და დასაწყობება (კინოდარბაზის პირველი სართულის იარუსის ჭერი) | კედლები. ჭრილი: 1 - 6.1 | რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს წერტილოვნად გამაგრების შემდეგ მოხდეს სტუკოს დეკორის დროებითი მოხსნა და დასაწყობება. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა **შესაფუთი მასალა**: tyvek -ის ქაღალდით მახასიათებლები ზედაპირის დაცვა - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. |
| 10 | ნალესობის და სტუკოს დეკორატიული ელემენტების დროებითი ფიქსაცია კედლებზე | კედლები. ჭრილი: 1 - 6.1 | რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს წერტილოვნად | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 11 | **მეორე სართული** | | | |
| 12 | **წრიული ფორმის სივრცე** | | | |
| 13 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |
| 14 | მაღალი რისკის ქვეშ მყოფი სტუკოს დეკორის დროებითი მოხსნა და სარესტვრაციო სახელოსნოში გადატანა | ედელი ჭრილი: 1 - 1 | ძლიერ დაზიანებული და საფუძველს მოშორებული მონაკვეთების დაყოფა ორიგინალი ნაკერების მიხედვით, დანომვრა და ფრთხილი მოხსნა. მოხსნამდე დეკორატიული ელემენტების ზედაპირის დაფარვა დამცავი ფენით (საკონსერვაციო ქაღალდი). მოხსნის შემდეგ დანომრილი დეტალები შიეფუთოს სპეც ქაღალდში და მოთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში. (კონტეინერები განთავსდეს შენობის დაცულ სივრცეში) | **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი**. ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. მოჩარჩოების დაყოფვა: სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი) |
| 15 | სტუკოს დეკორის დროებითი ფიქსაცია | ჭერი. გეგმა/ჭრილი: 1 - 18 | რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს წერტილოვნად. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 16 | **ცენტრალური ფოიე** | | | |
| 17 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18 | ჭერის მეანდრას ფორმის მოჩარჩოების მოხსნა და დასაწყობება. | ჭერი<br>გეგმა/ჭრილი: 1 - 9 | ჭერის მეანდრის ფორმის მოჩარჩოების განცალკევებული ფრაგმენტების ფიქსაცია წერილოვნად, რასაც უნდა მოჰყვეს მოჩარჩოების დაყოფა ორიგინალი ნაკერების მიხედვით, დანომვრა და ფრთხილი მოხსნა. მოხსნის შემდეგ დანომრილი დეტალები შიეფუთოს სპეც ქაღალდში და მოთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში. (კონტეინერები განთავსდეს შენობის დაცულ სივრცეში) | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. **მოჩარჩოების დაყოფვა:** სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი ) |
| 19 | დასავლეთი კერნიზის დეკორატიული ფრიზის დროებითი მოხსნა და დასაწყობება | ჭერი<br>გეგმა/ჭრილი: 1 - 10 | შენობის კონსტრუქციული გაძლიერების მიზნით დაგეგმილია აღნიშნულ ლოკაციაზე კედლის დაშლა და გაძლიერება, აქედან გამომდინარე აუცილებელია დეკორატიული ფრიზის დემონტაჟი და კონსტრუქციული გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ მისი თავიდან მონტაჟი. ამისათვის საჭიროა თაბაშირის ფრისზი არსებული ნაკერების მიხედვით დაიყოს და მოიხსნას. მოხსნის შემდეგ მისი შეფუთვა და დასაწყობება ზემოთ აღწერილი მეთოდით. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. **მოჩარჩოების დაყოფვა:** სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი ) |
| 20 | დასავლეთით მდებარე სვეტების დეკორი (ბაზები და კაპიტელები) | ჭერი<br>გეგმა/ჭრილი: 1 - 10 | ზემოთ აღწერილი მიმეზების გამო საჭიროა აღნიშნულ ლოკაციებზე სვეტების ბაზების და კაპიტელების მოხსნა. მათი მოხსნა განხორციელდეს მსგავსად დეკორატიული ფრიზისა. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. **მოჩარჩოების დაყოფვა:** სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი ) |
| 21 | **II და III სართულის გალერეა** | | | |
| 22 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |
| 23 | ჭერის დეკორის დროებითი ფიქსაცია | ჭერი. ჭრილი: 1 - 3 | რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს წერტილოვნად. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 24 | ჭერის დეკროის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთების მოხსნა | ჭერი. ჭრილი: 1 - 3 | ძლიერ დაზიანებული და საფუძველს მოშორებული მონაკვეთების მოხსნა, შეფუთვა და უსაფრთხო ადგილას დასაწყობება (დეკორატიული დეტალების მოხსნამდე მოხდეს მათი დანომრვა ლოკაციის მიხედვით). საჭიროების შემთხვევაში ზედაპირის ზედაპირის დაცვა საკონსერვაციო ფენით | შესაფუთი მასალა: tyvek -ის ქაღალდით **ზედაპირის დაცვა** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა |
| 25 | **კიბის უჯრედები** | | | |
| 26 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27 | მაღალი რისკის ქვეშ მყოფი კედლის დეკორის დროებითი მოხსნა | კიბის უჯრედის ჭერი (აღმაშენებლის ქუჩის მხარეს) | შენობის კონსტრუქციული გაძლიერების მიზნით დაგეგმილია აღნიშნულ ლოკაციაზე კედლის დაშლა და გაძლიერება, (ლოკაცია 1 -10 - ის მეორე მხარე) აქედან გამომდინარე აუცილებელია დეკორატიული მეანდრის ფორმის მოჩარჩოების დემონტაჟი და კონსტრუქციული გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ მისი თავიდან მონტაჟი. ამისათვის საჭიროა დეკორი არსებული ნაკერების მიხედვით დაიყოს და მოიხსნას. მოხსნის შემდეგ მისი შეფუთვა და დასაწყობება ზემოთ აღწერილი მეთოდით. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა. მოჩარჩოების დაყოფვა: სპეც საჭრელი ბურღი (არაპნევატური). **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი ) |
| 28 | ჭერის დეკორის დროებითი ფიქსაცია და დროებითი მოხსნა | კიბის უჯრედის ჭერი (აღმაშენებლის ქუჩის მხარეს) | ზემოთ აღწერილი მიზეზით (შენობის კონსტრუქციული მდგრადობის გაუმჯობესებისთვის) საჭიროა კიბის უჯრედის ჭერის დეკორის დროებითი მოხსნა. მოხსნამდე რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთები გამაგრდეს ზედაპირული დამცავი ფენით. დაინომროს და ფრთხილად მოიხსნას. | **წერტილოვანი გამაგრებისთვის:** თაბაშირის ხსნარი. **ზედაპირის ფიქსაციისთვის** - იაპონური ან მსგავსი მახასიათებლების მქონე საკონსერვაციო ქსოვილი - ქაღალდი. **ადგეზივი:** მეთილჰიდროქსილეთილცელულოზა **შეფუთვა:** tyvek - ის ქაღალდი. ხის კონტეინერი (იხ: გრაფიკული ესკიზი ) |
| 29 | **მოხსნილი სტუკოს დეკორის რესტავრაცია სახელოსნოში** | | | |
| 30 | **შესასრულებელი ფიზიკური სამუშაოები** | **ლოკაცია** | **ჩარევის მეთოდოლოგია** | **გამოსაყენებელი საკონსერვაციო მასალები** |
| 31 | მოხსნილი სტუკოს დეტალებიდან დროებითი გამაგრების ფენების მოხსნა | დროებითი სახელოსნო | დროებითი გამაგრების ფენა მოიხსნას მექანიკურად, თაბაშირის წერტილოვანი გამაგრებების წყლის დალბობის შემდეგ | სამედიცინო დანა, წყალი, სატამპონე ქსოვილები: ბამბა, დოლბანდი, ცელულოზას (200) ფხვნილი |
| 32 | სტუკოს დეტალების ზედაპირების გაწმენდა გვიანი საღებავის და თხელი ნალესობის ფენების მოხსნა | დროებითი სახელოსნო | მექანიკურად, სამედიცინო დანის და გამხსნელის გამოყენებით. | სამედიცინო დანა, წყალი, ეთილის სპირტი, ზეთის საღებავის სინთეტური გამხსნელი. |
| 33 | სტუკოს თავდაპირველი საღებავის ფენის გამაგრება | დროებითი სახელოსნო | ახლად გამოვლენილი თავდაპირველი წყალში ხსნადი ცარცის ბაზაზე დამზადებული საღებავის ფენის გამაგრება შესრულდეს დამცავი, საიზოლაციო ქაღალდის გამოყენებით, აკრილის ღრმადშეღწევადი ემულსიური ადგეზივის საშუალებით. ადგეზივის აპლიკაცია შესრულდეს ფუნჯით, ლოკალურად. | საიზოლაციო ფენა - იაპონური ქაღალდი, ადგეზივი - PRIMAL SF 016 |
| 34 | სტუკოს დეტალების სტრუქტურული გამაგრება | დროებითი სახელოსნო | სტუკოს განცალკევებული დეტალების გამაგრება უნდა შესრულდეს დამატებითი უჯანგავი მეტალის ან ტრადიციული მეთოდით - ხის არმირების (ანკერების) გამოყენებით. განცალკევებული დეტალების დაანკერების შემდეგ გადაბმის მონაკვეთების ფიქსაცია უნდა შესრულდეს აკრილის ემულსიური ადგეზივის მეშვეობით. განცალკევებული დეტალების ფიქსაციის შემდეგ გადაბმის შოვები დამუშავდეს თაბაშირის ხსნარით. | უჯანგავი მეტალის ანკერები, ბოჭკოვანი მინის მილები, სხვადასხვა ხის ანათალები. სინტეტური წებო - PRIMAL SF 016 თაბაშირის ხსნარი |
| 35 | სტუკოს დეტალების მცირე ზომის დანაკარგების შევსება ადგილზე დაძერწვით | დროებითი სახელოსნო | სტუკოს ნაძერწობების ზედაპირზე არსებული მცირე ზომის დანაკარგების შევსება - აღდგენა შესრულდეს დაძერწვის მეთოდით | სარესტავრაციო შპატულა (კომპლექტი) თაბაშირის ხსნარი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 36 | სტუკოს დეტალების დიდი ზომის დანაკარგების შევსება ყალიბის გამოყენებით | დროებითი სახელოსნო | სტუკოს დეტალების მთლიანობის აღდგენისათვის აუცილებელია დეტალების მასიური დანაკარგების აღდგენა მოხდეს ყალიბეების გამოყენებით - (ყალიბები დამზადდეს სპეციალური საყალიბებე ხსნარებით). ახლად დაყალიბებული და ორიგინალი ნაწილების დაკავშირება მოხდეს ანალოგიურად განცალკევებული დეტალებისა. | უჯანგავი მეტალის ანკერები, ბოჭკოვანი მინის მილები, სხვადასხვა ხის ანათალები. სინტეტური წებო - PRIMAL SF 016, თაბაშირის ხსნარი |
| 37 | აღდგენილი სტუკოს დეტალების კონსტრუქციის გამაგრება ზურგის მხრიდან და თაბაშირის ფილაზე მონტაჟი | დროებითი სახელოსნო | სამუშაოს ამ ეტაპზე სტუკოს დეტალისთვის უნდა დამზადდეს თაბაშირის ფილა (საფუძველი) რომელზეც თაბაშირითვე მოხდება სტუკოს დეტალის მიმაგრება. მეტი სიმტკიცისათვის თაბშირის საფუძველი უნდა მოეწყოს პლასტმასისი ბადეზე ან გამოყენებულ იქნას სტუკოს ტრადიციული ტექნიკა - ხის არმირების საშუალებით. (ანალოგიური ტექნიკაა გამოყენებული თავდაპირველი სტუკოს დეტალებისთვის) აღწერილი კონსტრუქცია უნდა მიმაგრდეს კედლეზე. | თაბაშირის ხსნარი, ხის ტკეჩები ან პლასტმასისი წმინდა ბადე. |

**ყოფილი კინოთეატრი "აპოლო"**

აღმაშენებლის გამზ. № 135

საკოსნერვაციო - სარესტავრაციო ინტერვენციის მეთოდები და მასალები

**II ეტაპი**

**ინტერიერში არსებული მძიმედ დაზიანებული მონაკვეთების (ისინი რომლებიც აღარ ექვემდებარება რესტავრაციას - გაფხვიერებული და ჩამოშლილი გაჯის ნალესობა, ტენით გაჯერებული და დეგრადირებული თაბაშირის სტუკოს დეტალები) დროებითი მოხსნა. ამ ეტაპზე ასევე მოიხსნება 1955-1956 წლებს შემდეგ განხოციელებული შეუსაბამო და შემდგომი დაზიანებების გამომწვევი ჩარევები**

